სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 6 ნოემბერი 2004 №259 (2280) ფასი 50 თეთრი

ზურაბ ზვიადაური, საქართველო! ჩემი ლიმილი ჩემი იპონია

EXCLUSIVE

დინამო გადამაგდო

კარლოს და როჩა: პეტრიაშვილი ტელეფონთან არ მიდის, მაგრამ ჩემს ფულს მაინც ავიღებ



გახსოვთ კარლოს და როჩა? ეს ბრაზილიელი ნახევარმცველი 2002 წლის თებერვალში ჩაირიცხა თბილისის „დინამოში“ და გუნდს არაერთი მნიშვნელოვანი გოლით, საგოლე პასით თუ მონადირებული პენალტით შეეწია. წლეულს, აპრილში კი „დინამოში“ მომხდარი რეორგანიზაციის შედეგად კარლოსი იძულებული გახდა, „დინამო“ დაეტოვებინა — გია გეგუჩაძის ტაქტიკურ სქემაში თუ სამომავლო გეგმებში ეს ბრაზილიელი არ ჯდებოდა.

... ჯერ კიდევ „დინამოს“ „სოშოსთან“ მატჩის წინ დაირხა ხმები იმის შესახებ, რომ კარლოსი „დინამოსგან“ კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულს ითხოვდა. მაშინ კარლოსთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, ხოლო „დინამოს“ ოფიციალური პოზიცია ასეთი გახლდათ — კარლოსს არც „დინამოდან“ წასვლის დროს და არც შემდეგ არანაირი უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. თუმც ამ დღეებში კარლოსს ბრაზილიაში რომ დავურეკეთ, სულ სხვა გვითხრა.

— ახლა უგუნდოდ ვარ, მაგრამ მალე ბრაზილიის პირველი ლიგის გუნდ „უნიაუ სან ჟოაო დაერისში“ დავიწყებ თამაშს.

— მართალია, რომ „დინამოსგან“ ფულს ითხოვ?

— მართალია. „დინამოსთან“ კონტრაქტი 2005 წლის ივნისამდე მაქვს და გუნდიდან რომ გამომიშვეს, კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასი მაინც მეკუთვნის. წამოსვლის წინ ერთი თვის, მაისის ხელფასი მომცეს და მეტი არაფერი.

— რას აპირებ, „დინამოს“ ხელმძღვანელობასთან არ გილაპარაკია?

— „დინამოში“ ვრეკავ, მაგრამ დავით პეტრიაშვილი ტელეფონთან არ მიდის. როგორც უნდა იყოს, ჩემს ფულს მაინც ავიღებ.

— უეფაში აპირებ ჩივილს?

— ჯერ არა, რადგან ჩემს მენეჯერს უნდა დაველაპარაკო, რომელიც თურქეთშია და ზუსტად არ ვიცი, როდის ვნახავ.

— მოკლედ, უახლოეს ხანში არაფერს აპირებ...

— მთლად ასეც არაა. თუ ჩემს მენეჯერს მალე ვერ დავუკავშირდი, აქ მეგობარი იურისტები მყავს და მათ დაველაპარაკები.

დავით თავართქილაძე

ინგლისს 2:0 ეწყინა

ძოგა ინასარიძე
ლონდონიდან

„ნიუკასლის“ თავკაცი გრემ სუნესი 25 წელი ელოდა ამ დღეს. სუნესი ბედნიერია: როგორც იქნა, „დინამოსთან“ 1979 წლის საშინელი წაგებისთვის რევანში აიღო — ასე იწყებს გაზეთ „გარდიანში“ ლუის ტეილორი „ნიუკასლ“ — „დინამოს“ მატჩის მიმოხილვას — თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მომღიმარ გრემ სუნესს გამომეტყველება მაშინ შეეცვალა, როცა ქართველმა ჟურნალისტმა ჰკითხა, რამე მსგავსება თუ არის 25 წლის წინანდელ და ახლანდელ „დინამოს“ შორისო. სუნესის პასუხი ასეთი იყო: მაშინ „დინამო“ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლებოდა, ახლანდელი კი მაშინდელის აჩრდილიც არ არის, ამ ორ „დინამოს“ ვერანაირად ვერ შევადარებ“ — განაგრძობს ტეილორი. მიმოხილვა კი, რომელსაც „გარდიანმა“ ერთი გვერდი დაუთმო, ასეა დასათაურებული: „შირერმა კაჭკაჭები გაალიდერა“.

საერთოდ, გუშინდელ ინგლისურ გაზეთებს „ნიუკასლ“ — „დინამოს“ მატჩი წვრილად არ მიმოუხილავთ და არც მყვირალა სათაურებით გამოუდიათ თავი. ინგლისელი კოლეგები უფრო „ნიუკასლის“ ამბებს არჩევდნენ და „დინამოზე“ ბევრიც არაფერი დაუწერიათ. რაც თქვეს, ესაა — „დინამო“ მოულოდნელად უსუსური გუნდი ყოფილაო. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ ლუის ტეილორს უკვირს, „დინამო“ 0:2-ზე დიდი ანგარიშით როგორ არ დამარცხდაო, ნიუკასლელ ფეხბურთელებს კი კბილი გაჰკრა, რატომ მეტი არ გაუტანეთ თბილისელებსო.

„დეილი მირორის“ მიმომხილველმა საიმონ ბირდმა კი მთელ თბილისქალაქს დაჰხედა ზემოდან: „ღარიბმა თბილისელებმა ისიც ვერ მოახერხეს, თავიანთი გუნდის სტუმრად თამაშს დასწრებოდნენ და რამდენიმე ბილეთი მაინც შეეკვეთათ. არადა რა ღირდა ბილეთი? სულ 20 გირვანქა. „ნიუკასლის“ ოფისში სტუმართა ფანებისგან მხოლოდ ოთხი ზარი გაისმა, თუმც „სენტ ჯეიმს პარკზე“ არც ისინი გამოჩენილან“.

შეცდა ჩვენი კოლეგა, როცა ეს დაწერა. ის მაინც უნდა დაენახა, ზედ პრესლოჟის წინ ათამდე ქართველს საქართველოს ბარე ორმეტრიანი ხუთჯვრიანი დროშა რომ გაეშალა და დინამო, დინამოს ძახილში ლამის ხმის იოგები დაიწყვიტეს. ქართველები ისხდნენ ცენტრალურის მოპირდაპირე ტრიბუნაზეც და ვიდრე ანგარიში 0:0 იყო, დასავლეთის მხრიდან გაგონილ გამამხნევებელ შეძახილებს ბანს იქიდან აძლევდნენ. მოკლედ, „სენტ ჯეიმს პარკზე“ „დინამოს“ 50-მდე ქომაგი ნამდვილად იყო, თუმც ისინი გაფანტულები იყვნენ.

გაფანტულები იყვნენ „ნიუკასლის“ გიჟმაჯი ფანებიც. სტადიონის დაცვის სამსახურმა ისინი ამ მატჩზე რატომღაც საპირისპირო მხარეებზე, კარსუკანა ტრიბუნებზე დასხა.

„კლუიერტი სუპერ!“ — ასეთი სათაურია „დეილი სპორტის“ პირველ გვერდზე. ჟურნალისტი „ნიუკასლის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელის ქება-დიდებაშია და ამბობს, „დინამო“ სწორედ კლუიერტმა დაამარცხაო.

„დეილი მეილის“ მიმომხილველი მარტინ ჰარდი კი წერს, დატანჯულმა „დინამომ“ ვერც მატჩის ბოლოს ამოისუნთქა, მაშინ, როცა სუნესმა შირერი დაასვენა და „ნიუკასლს“ წამყვანი ძალა მოაკლოო. იგივე ჰარდი გაწბილებული დარჩენილა, „ნიუკასლმა“ ორზე მეტი გოლი როგორ ვერ გაიტანა, ჩვენებს ხომ ათამდე ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდათო.

„სამიდან ორი გავარდა“ — აი, ნიუკასლური „ქრონიქლის“ სათაური. ჟურნალისტებმა გრემ სუნესს არჩევანი მოუწონეს: „სუნესი დილემის წინაშე იყო. მას კლუიერტ-შირერ-ბელამიდან ძირითადისთვის ორი უნდა აერჩია, მაგრამ მწვრთნელმა სამივე ათამაშა და სამივემ თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა, გოლები ხომ სწორედ შირერმა და ბელამიმ გაიტანეს“.

ზოგად კი, ინგლისური პრესა ერთასულოვანია, „ნიუკასლის“ ფეხბურთელებმა თბილისელებთან მატჩი ძირითადში პოზიციების გასამტკიცებლად გამოიყენეს, მწვრთნელს თავი მოაწონესო. ნიუკასლელებს თურმე კონკურენცია აფრთხობთ და ძირითადში ადგილის დაკარგვას შიშობენ. თუმც გამონაკლისი აქაცაა და აქაც — შირერი! სუნესმა რომ გაბედოს და შირერი სკამზე დასვას, სამსახურსაც დაკარგავსო, მითხრა ნამატჩევს ერთმა იქაურმა ქომაგმა. მართალიცაა, თავის დროზე რუუდ გულიტი და სერ ბობი რობსონი, შეიძლება ითქვას, სწორედ შირერმა შეიწირა. ნიუკასლურმა ფანობამ მათი კერპის სათადარიგოობა ვერ იგუა.

ბოლოს კი ორი ამბავი, რომელთაც, გნებავთ, ყბადაღებული კურიოზი უწოდეთ, გნებავთ, სხვა რამ...

„სენტ ჯეიმს პარკზე“ ბევრთაგან ერთმა იმანაც გამაკვირვა, რომ შემადგენლობებს, ფეხბურთელთა შეცვლებსა თუ სხვა ცნობებს ქართულადაც აცხადებდნენ. საამისოდ ნიუკასლელებს სანდერლენდელი ქართველი მიუწვევიათ. ჰოდა, როცა საქმე „ნიუკასლის“ შემადგენლობაზე მიდგა, ამ ჩვენმა თვისტომმა „დინამოს“ მეტოქე „ნიუკასლის გაერთიანებად“ მოიხსენია, UNITED — პირდაპირ თარგმნა.

მეორე ამბავი კი გია გეგუჩაძის მატჩამდელ პრესკონფერენციაზე მოხდა. როცა ჰკითხეს, ხვალინდელი მატჩისგან რას ელითო, „დინამოს“ თავკაცმა ასე უპასუხა, კარგ თამაშს გპირდებით, „დინამო“ იბრძოლებსო. თარჯიმანმა კი გეგუჩაძის სიტყვები, „დინამო“ იბრძოლებსო, ასე თარგმნა: DINAMO FIGHT, რაც იმას უფრო ნიშნავს, „დინამო“ იჩხუბებსო. ამის გამგონე ინგლისელ ჟურნალისტებს გაუკვირდათ, გაუგებრობა კი ისევ გეგუჩაძემ განმუხტა, ინგლისელებს სათქმელი ინგლისურად უთხრა და მასპინძლებმა გულიანად გადაიხარხარეს...

di_na_mo_fan@hotmail.com

ალბათ ორი მატჩიც და di_na_mo_fan-ი მომდევნო ზაფხულამდე დაგემშვიდობებათ. რატომ ორი? არა, ალალად კი მინდა, რომ „დინამო“ ჯგუფიდან გავიდეს, მაგრამ რეალურად ამის შანსი ძალიან მცირეა. თუმცა, ვინ იცის...

მოკლედ, „დინამომ“ ნიუკასლშიც ითამაშა და, ვაგლახ, ისევ დამარცხდა. განწყობაც, მკითხველთა წერილებიდან რომ გამოსჭვივის, მთლად ხალისიანი ველარ არის. ეს ბუნებრივია. მაგრამ ერთი რამ შეინიშნება — ერთი სალანძღავი წერილიც არ მიგვიღია, არადა, წინა წლებში, კარგად მახსოვს, ნაკრების თუ კლუბების ყოველი წაგების მერე გულშემტკივარი რედაქციაში რეკავდა და ჩვენს გუნდებს აგინებდა.

ერთი სიტყვით, წავაგეთ, მაგრამ ამით მომავალი წარმატებების იმედი ხალხს არ გაქარწყლებია. ეს კი ძალიან კარგია.

— ДИНАМО უკმაყოფილო ნამდვილად არ დამტოვა. რამაც ყველაზე მეტად გამაკვირვა და მესიამოვნა, იყო ის, რომ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ДИНАМО НИУКАСЛИС ტემპში მუშაობდა. დამაგვირგვინებელ ფაზაში რომ პრობლემები გვაქვს, ეს აქამდეც ვიცოდით. ეს ახლა მთავარი არაა. მთავარია ის, რომ აშკარად ვიზრდებით და ვვითარდებით. ДИНАМО ისიც დაგვანახა, რომ გარკვეული გარემოებების თანხვედრის პირობებში მას მეთექვსმეტედფინალშიც შეუძლია გასვლა. ისინი ღირსეული ბიჭები არიან. ჩვენც ღირსეულად უნდა ვუქომაგოდ მათ 25-ში სპორტინგთან. დანარჩენი ღმერთმა იცის.

საუკეთესო სურვილებით, ALEXANDER

აი, სწორედ ამაზე მოგახსენებდით, რომ გულშემტკივარი გაღიზიანებული და გაავებული არ არის, იმედიანადაა. მომდევნო წერილი.

MEZVRO: რა ძნელია კომენტარი გაუკეთო ასეთ მატჩს. რამდენი ფაქტორი უნდა მიიღო მხედველობაში. იქით საქართველოს შიდა ჩემპიონატის დონე, ДИНАМОს საკმაოდ მოკლე სათადარიგოთა სკამი, ფეხბურთელთა ახალგაზრდული ასაკი და გამოუცდელობა. ყოველივე ამის ფონზე 2:0 მოსალოდნელზე უფრო ნაკლები ანგარიშით მარცხია. თამაშსაც შევხედოთ და ვთქვათ, რომ НИУКАСЛს თავი დიდად არ მოუკლავს, მშვიდად მიიღო ის რაც სურდა — სამი ქულა. ერთადერთი შანსი გვქონდა, როგორმე პირველი ტაიმის დარჩენილი რამდენიმე წუთიც გაგეძლო. რა იცი, იქნებ ადვილი მოგების მომლოდინე НИУКАСЛИ ცოტა აერიულებულიყო და ბედის ნყალობით 0:0-ისთვის გამარგვეკრა ხელი. ერთსაც დავძენ. ალბათ, ჯობდა, ძირითადში სილაგაძეს და ზოიძეს ეთამაშათ, მამალაძე-კაშიას ნაცვლად. მათ გამოცდილებას და ასაკს იქნებ ცოტა მაინც შეეცვალა მატჩის ხასიათი. მომავალს იმედით ვუყურებ. არ მინდა, თუნდაც НИУКАСЛИС დარგუნდებთან ფრე ოცნების სფეროს განეკუთვნებოდეს.

წერილის ავტორმა „დინამოს“ მოკლე სათადარიგოთა სკამი ახსენა და ამასთან დაკავშირებით ერთი ვარაუდი მაწუხებს — უეფას თასის ჯგუფში მოხვედრა ალბათ დინამოელებისთვისაც მოულოდნელობა იყო, თორემ სკამის დაგრძელებაზე ალბათ დროულად იზრუნებდნენ.

ახლა ერთი მადლიერი და ერთიც კრიტიკული მკითხველის წერილებს გავეცნოთ.

GULSHEMATKIVARI: რა არის იცით — თამაშის ყურებისას გავიფიქრე, რომ НИУКАСЛИ უბრალოდ ვარჯიშობდა, თორემ რომ მოენდომებინა, მეტ გოლსაც გაიტანდა. ამას ДИНАМОს სასაყვედუროდ არ ვამბობ, გუნდს, რომელსაც გამოცდილება არ აქვს, ძნელია НИУКАСЛИС ნაირი გუნდის დამარცხება მოსთხოვო და თან უმადურობაცაა, რადგან ჯგუფში მოხვედრით ДИНАМОმ ისედაც ძალიან გაგვახარა და რაც მთავარია, დიდი საქმე გაუკეთა ქართულ ფეხბურთს. მაგრამ მომდევნო სეზონში (ღმერთმა ქნას და ДИНАМО ისევ ჯგუფში იყოს) ასეთი თამაშისთვის საყვედურს ვეტყვით — მაშინ გუნდს მეტი გამოცდილება ექნება.

SUPERMARIO: „ნიუკასლთან“ 0:2 საშინელება არაა, მაგრამ საშინელებაა, როცა შირერი მამალაძეს ურტყამს და ДИНАМОელთაგან შირერს პასუხს ვერავინ მოსთხოვს. ცუდია, რომ ДИНАМОს აგრესია ძალიან აკლდა ნიუკასლში, ცუდია, რომ გეგუჩაძემ ДИНАМОდან რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გაუშვა, ნიუკასლში ძალიან რომ გამოადგებოდა: ბურდული, გოგობერიშვილი და იაშვილი.

SUPERMARIO-მ ორ-ორჯერ ახსენა სიტყვები „საშინელება“ და „ცუდი“. მაგრამ არა უშავს. იმედ მაქვს, მის მომდევნო წერილებში სხვა სიტყვებიც გამოერევა: „კარგი“ და... ხომ არ იცით, „საშინელების“ ანტონიმი რომელია?

WEB-ოსტატი გუარა

პანიონიოსი მოულოდნელად ცდება



„ნიუკასლის“ შემდეგ „დინამო“ უეფას თასის მორიგ მატჩს შინ თამაშობს 25 ნოემბერს, ხოლო ჯგუფში ბოლო შეხვედრისთვის ბერძნულ „პანიონიოსს“ ესტუმრება, რომელიც პორტუგალიაში „სპორტინგს“ 1:4 დაეჩაგვრინა. ამ მატჩზე ბერძნულ „არისში“ მოთამაშე *ირაკლი ვაშაკიძეს* დავეკითხეთ.

— „სპორტინგ“—„პანიონიოსის“ მატჩის ფრაგმენტებს ვუყურე. არ მეგონა, „პანიონიოსი“ ასე ადვილად თუ დათმობდა თამაშს, განსაკუთრებით დაცვაში ცდებოდნენ უხეშად. წინა მატჩი „პანიონიოსს“ „პანათინაიკოსთან“ ჰქონდა და მაშინაც ისეთი შეცდომებით თამაშობდა, რასაც არავინ ელოდა.

— გამოდის, „პანიონიოსს“ დაღმასვლა ჰქონია...

— „პანიონიოსს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს და ალბათ უცბად გაუჭირდა რაღაც-რაღაცების შეცვლა. ისე კი, „პანიონიოსს“ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ რაც ბოლო თამაშებში ხდება...

— „დინამო“ ბერძნებთან სტუმრად ითამაშებს — „პანიონიოსის“ საშინაო მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება?

— მას შემდეგ, რაც ბერძნები ევროპის ჩემპიონები გახდნენ, საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩებს არანაკლებ 15-20 ათასი გულშემატკივარი ესწრება.

დავით თავგართქილაძე

ფეხბურთი
ფკ ამერის სკოლა
პირველი ლიგა
8 ნოემბერი
მეთორმეტე ტური
ამერი — რუსთავი
თბილისი — რუსთავი
დასაწყისი 14 საათზე.
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge

საქართველოს ჩემპიონატი — 14 ტური

ლიგა · უმაღლესი 16 · ლიგა 14 · ტური · ანონსი

თბილისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — კოლხეთი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალაღურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

ქუთაისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო

ტორპედო — დილა

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

თბილისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპი

თბილისი — ბათუმი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

მცხეთა. 7 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (ტულრიფში), ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. ბარქაია

ზესტაფონი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — დინამო

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ხვალ-ზეგ საქართველოს ჩემპიონატის მე-14 ტურია და სათქმელ-საცქერიც ბევრი გვექნება. მით უმეტეს, ამ ტურში საინტერესო წყვილები საკმაოდ ჩანს. ისე, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, თავისი ინტრიგა ხუთივე თამაშს აქვს და აი, რატომ...

„თბილისი“ — „ბათუმი“. ვინ იტყვის, ამ წყვილში ყველაფერი გარკვეულიაო? უფრო პირიქითაა, ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, სტუმრები უფრო არწაგებაზე ითამაშებენ, თბილისელებს კი ამ მხრივ გაცილებით მეტი მოტივაცია აქვთ — მოგების შემთხვევაში მესამე ადგილზე პოზიციასაც გაიმყარებენ და ლიდერთაგან რომელიმემ რომ წაიფორხილოს, სულ მცირე, ერთი საფეხურითაც აინაცვლებენ.

„ბათუმს“ ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს ეროვნულ ჩემპიონატში — 13 თამაშში ოდენ 9 გოლი გაუშვა, მაგრამ უიარაღოდ არც დედაქალაქელები არიან — „დინამოსთან“ ერთად „თბილისს“ ყველაზე მეტი, 28 გოლი გაუტანია.

მოკლედ, თვალსაჩინო შეხლა უნდა გამოდგეს და ალბათ ქომაგიც არ დაიზარებს სტადიონზე წასვლას.

„ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“. თასის მეოთხედფინალში ორივე გუნდი გავიდა და ტურსაც კარგ ხასიათზე ხვდებიან. თან ფოთელები უხეირო სტარტის მერე ისე მოფერიანდნენ, რომ ერთბაშად სამი საფეხურით წაიწიეს ცხრილში.

„ლოკომოტივი“ ამ მატჩს სერიოზული დანაკლისით ხვდება — თასზე „სპარტაკთან“ დაშავებული ალეკო გოგობერიშვილის თამაში გამორიცხულია. რკინიგზელთა ერთ-ერთ ლიდერს ექიმებმა რამდენიმედღიანი დასვენება გამოუწერეს. სამაგიეროდ, ფორმაშია მეგოლე მიხეილ ბობოხიძე, ვინც წინა ტურში ბომბარდირებშიც გალიდერდა და ეჭვი არაა, ხვალაც ეცდება გატანას.

დიდი ამბები იქნება მცხეთაშიც. *„ვიტ ჯორჯია“ და „სიონი“,* სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სკანდალური „ოქროს მატჩის“ მონაწილენი არიან. სწორედ ვეტერინარებთან მატჩისას მომხდარი სისულელების გამო დასაჯა ბოლნისური კლუბი და ისე დაბეჩავდა, წინა ჩემპიონატში ოქროს მედლებისთვის მებრძოლს ახლა ლიგაში დარჩენა გახდომია სათუო.

ასეა თუ ისე, „სიონი“ მცხეთაში ქულის საძებნელად ჩადის და ეგებ ისეც მოხდეს, რომ სწორედ ამ მატჩის მერე ჩაიბაროს გუნდი ვაჟა ჟვანიამ, ვინც სადღეისოდ „სიონის“ მენეჯერია.

„ტორპედო“ — „დილა“ შედარებით იოლად პროგნოზირებადი ჩანს, მაგრამ გორელებმა ყველას აჩვენეს, რომ ბრძოლა შეუძლიათ — მე-13 ტურში „თბილისს“ ორბურთიანი ჩამორჩენა ამოუქაჩეს, სამიოდ დღეში კი თასზე იმავ „თბილისი“ 4:3 დაამარცხეს. თან ორივე მატჩში „დილა“ მეორე ტაიმში გამორჩეოდა, რამაც „ტორპედოს“ თავკაცი ოთარ გაბელია უნდა ჩაფიქროს. შეკრებაგაუვლელ ქუთაურებს ხომ უმეტესად სწორედ მეორე 45-წუთეულში ექმნებათ პრობლემები. თუმც არ დაგვავიწყდეს — „ტორპედო“ ჩემპიონატის ლიდერია. ისევე, როგორც „დინამო“...

ინგლისურ „ნიუკასლთან“ გუშინწინდელი თამაშით გადაღლილ-გადაქანცული თბილისელები ზესტაფონში ზეგ ჩადიან. „დინამო“ იმდენადაა ემოციებისგან დაცლილი, რომ ძნელი სათქმელია, როგორ მოემზადება „ზესტაფონთან“ სათამაშოდ. ისიცაა, რომ ფეროელებმა კარგად იციან, ვის ეთამაშებიან და მოედანზეც დიდ შეხლა-შემოხლას ველით. პროგნოზს კი, რა თქმა უნდა, მოვერიდებით.

ძახა შალამბერიძე

დინამო	13	8	2	3	28:16	26
ტორპედო	13	7	5	1	19:7	26
თბილისი	13	7	3	3	28:15	24
ბათუმი	13	6	4	3	19:9	22
ვიტ ჯორჯია	13	6	3	4	24:18	21
ლოკომოტივი	13	5	6	2	17:7	21
კოლხეთი	13	3	2	8	10:21	11
სიონი	13	3	2	8	12:29	11
ზესტაფონი	13	3	1	9	9:30	10
დილა	13	2	2	9	10:24	8

თბილისი შალკეს უძმობილდება

ლუის ცაკარიასი მუნდიალზე გვხედავს

ფოტო: ფეხბურთელთა ბანაკი

ვწერდით უკვე და გეცოდინებათ, რომ პერუელი **ლუის ცაკარიასი** „თბილისის“ მწვრთნელ-კონსულტანტად დაინიშნა. კლუბის ამჟამინდელი თავკაცი გიორგი დევდარიანი ორიოდ თვეში სამწვრთნელო კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში მიემგზავრება და „თბილისის“ ხელმძღვანელობამაც თადარიგი დაიჭირა: მის ნაცვლად საქართველოს ჩემპიონატის ავან-ჩავანში ჩახედული კაცი შეიგულა. „გიორგი დევდარიანი ინტენსიურ კურსებზეა, გერმანულ ენას სწავლობს და მოუცლელობის გამო ვარჯიშებს უფრო ცაკარიასი უძღვება. რამდენიმე ხანში ბატონი ლუისი გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდება“ — გვითხრა ცაკარიასთან დაახლოებულმა მწვრთნელ-მენეჯერმა გოჩა თამაზაშვილმა...

თბილისის „ლოკომოტივიდან“ წასვლის შემდეგ ლუის ცაკარიასი გერმანული „შალკეს“ სკაუტად მუშაობდა და სამხრეთამერიკელი ყოჩაღბიჭების მოძიება ევალებოდა. ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ მომავალში სამხრეთელი ამერიკელების „თბილისში“ გამოჩენაც არაა გამორიცხული. პერუელ მწვრთნელს სხვა საინტერესო საკითხებზეც ვესაუბრეთ...

— „ლოკომოტივში“ მუშაობის დროიდან „თბილისს“ კარგად იცნობთ. შარშანდელთან შედარებით კლუბს პროგრესს თუ ატყობთ?

— მე შარშანაც არ ვმალავდი, რომ „თბილისს“ დიდი პოტენციალი აქვს. გუნდს წინსვლა ეტყობა და, მგონი, ეს სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს. თუმც ამით დაკმაყოფილება არ ივარგებს, ჩვენ მუდმივად პროგრესზე უნდა ვიმუშაოთ.

— კერძოდ, რაში მოუმატებია გუნდს?

— ტაქტიკაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ისე კი, გუნდის ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი 1985 წელსაა დაბადებული და ასეთი ახალგაზრდებით რომ ლიდერთა შორის ვართ, ეს უკვე საქმეა.

— მთლიანად ჩემპიონატის დონე თუ გეჩვენათ შეცვლილი?

— ბევრი თამაში არ მინახავს, მაგრამ რამდენიმე კარგი ფეხბურთელის წასვლა კი მხვდება თვალში. არ ვიცი, იქნებ ეს კარგიცაა — მთავარია, ღირსეული ცვლა მოვიდეს. ახალგაზრდებმა მუდმივად უნდა იშრომონ, თორემ ქართველებს ნიჭის მხრივ პრობლემა არ გაქვთ.

— იმასაც შეამჩნევდით, რომ ბოლო ტურებში ლიდერები ბევრ ქულას კარგავენ და აუტსაიდერები წამოიწევნენ...

— ჩინებულია, ასეც უნდა იყოს. კონკურენციას ორივე ხელით მივესალმები, თორემ ის რა ჩემპიონატია, 7:0 და 10:1 რომ ფიქსირდება და თამაში 20 წუთში მთავრდება.

— ბოლო ხანს „შალკეში“ მუშაობდით სკაუტად და რომელიმე სამხრეთამერიკელი თუ მიიყვანეთ კლუბში?

— გელზენკირხენულ კლუბში ბევრი მეგობარი მყავს. „შალკემ“ სამხრეთ ამერიკის 16-წლამდელთა ჩემპიონატზე მიმავლინა პარაგვაიში, სადაც ნიჭიერთა ნამდვილი აღლუმი იყო. იქ რამდენიმე ფეხბურთელი ჩავინიშნე „შალკესთვის“ და კლუბმა მათზე დაიწყო დაკვირვება. ეს პროცესი ზოგჯერ წლობით გრძელდება, მაშინვე კონტრაქტს არავის უფორმებენ.

— შალკეში“ ლევან კობიაშვილსაც გაიცნობდით...

— „კობი“ გულშემატკივართა ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია და მასზე ერთი მცირე საყვედურიც არ მსმენია. იგი კლუბშიც წამყვანი ფიგურაა, გოლების გატანაც დაიწყო და „შალკესთანა“ ძლიერ გუნდში ეს პატარა საქმე როდია...

— „თბილისში“ ხომ არ აპირებთ რომელიმე სამხრეთამერიკელი მოთამაშის ჩამოყვანას?

— ეს ჩემი სურვილია და კლუბის ხელმძღვანელობასთანაც ვილაპარაკე ამის თაობაზე. მინდა, „შალკე“ და „თბილისი“ კოოპერაციულადაც დავაკავშირო ერთმანეთთან — ბუნდესლიგის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბთან დაძმობილება ძალიან წაგვადგება.

— კონკრეტულად „თბილისისთვის“ შერჩეული ფეხბურთელი თუ გყავთ?

— ჯერ არა, ეს მომავლის საქმეა. საქართველოს ჩემპიონატში ზამთრის შესვენება რომ იქნება, სამხრეთ ამერიკაში ჩავალ და მერე ვნახოთ. ისე კი, უკვე გითხარით, „თბილისის“ ამჟამინდელი კონტინგენტი ძალიან მომწონს, ასეთი ახალგაზრდებით ბევრს უნდა მივაღწიოთ. ცხადია, ყველა ამბიციური გუნდი ჩემპიონობაზე ფიქრობს, მათ შორის ჩვენც.

ბოლოს, ლუის ცაკარიასმა გვითხრა, საქართველო უკვე ჩემს სახლად იქცა და ბედნიერი ვარ, რომ ისევ აქ ვართო: „თქვენს ნაკრებს სიგიჟემდე ვქომაგობ და დიდი იმედი მაქვს, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გახვალთ“. — ღმერთმა გისმინოთ, ლუის ბატონო...

ილია ნანოგაშვილი

სანოემბრო ლოზუნგი აშვეთია

МИШИКО, МЫ С ТОБОЙ!



მთელი რუსეთი 8 ნოემბრის მოლოდინშია. ამ დღეს ეგებ პრემიერლიგის ჩემპიონის ბედიც გაირკვეს, ან პირიქით — ყველაფერი ბოლო ტურში გადასაწყვეტი გახდეს. მოკლედ, ორშაბათის სიმძიმეზე ორი მატჩი „იზრუნებს“: „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ და ცსკა — „დინამო“.

ჩვენს ყურადღებას, ცხადია, „ლოკომოტივი“ უფრო იმსახურებს: მალხაზ ასათიანს და მიხეილ აშვეთიას შანსი აქვთ, პირველად გახდნენ რუსეთის ჩემპიონები. შეგახსენებთ, რომ რკინიგზელები ერთი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ ცეესკას.

ქართველი ფეხბურთელები ვახსენეთ და, გეცოდინებათ, აშვეთია კარგა ხანია, უქმადაა. ორი თვის წინ მძიმედ დაშავებულ ჩვენებურს თაბაშირი კი მოხსნეს, მაგრამ ყავარჯნები ჯერაც არ გადაუგდია, თუმც „ლოკომოტივის“ თამაშებს მაინც არ აცდენს და თავისიანებს ტრიბუნიდან ქომაგობს. ის კი არა, მიხო რკინიგზელთა ვარჯიშებსაც საკმაოდ ხშირად ესწრება.

თუმც „ლოკომოტივის“ ფანებმა კარგად იციან, რომ გუნდზე არანაკლებ დღეს თანადგომა თავად აშვეთიასაც სჭირდება და... „Мишико, мы с тобой!“ — აი, ასეთი ტრანსპარანტის გამოკიდებას აპირებენ „ლოკოს“ ქომაგები ორშაბათის მატჩზე.

პლაკატი საკლუბო ფერებით გაეწყობა და სტადიონის სამხრეთ ტრიბუნაზე გამოიფინება.

— ეს იდეა ალბათ ყველას მოეწონება. ამით მიხეილს დავარწმუნებთ, რომ ჩვენ მისი გვჯერა და ყოველთვის გვერდში ვუდგავართ. გვინდა, აშვეთია მალე გამოჯანმრთელდეს და თავისი თამაშით ძველებურად გაგვახაროს — ამბობენ იდეის ავტორები.

ძახა შალამბერიძე

იტალია

პაპუნა კედია

კარლო ანჩელოტი, სავარაუდოდ, ერნან კრესპოსაც ათამაშებს

ტრიბუნასა და მოედანს შორის

ანჩელოტი ბერლუსკონის ერთს ველარ გაუბედავს

X ტური		
დღეს		
ბრეშა	:	კიევო
რეჯინა	:	იუვენტუსი
ხვალ		
ატალანტა	:	სამპდორია
ბოლონია	:	მესინა
კალიარი	:	ლივორნო
ფიორენტინა	:	ინტერი
ლაციო	:	სიენა
ლეჩე	:	უდინეზე
მილანი	:	რომა
პალერმო	:	პარმა

საღლეისო ვითარება						
იუვენტუსი	9	8	1	0	20:2	25
მილანი	9	6	2	1	15:6	20
ლეჩე	9	4	3	2	20:15	15
მესინა	9	4	2	3	14:14	14
ინტერი	9	2	7	0	17:14	13
ფიორენტინა	9	3	4	2	10:7	13
კიევო	9	3	4	2	7:9	13
კალიარი	9	4	1	4	12:15	13
რომა	9	3	3	3	18:16	12
უდინეზე	9	3	3	3	10:8	12
ლაციო	9	3	3	3	10:9	12
სამპდორია	9	4	0	5	8:8	12
ლივორნო	9	3	2	4	10:13	11
ბოლონია	9	3	1	5	8:10	10
პალერმო	9	2	4	3	6:8	10
ბრეშა	9	3	0	6	9:16	9
სიენა	9	2	3	4	5:12	9
რეჯინა	9	1	4	4	6:10	7
პარმა	9	1	4	4	10:16	7
ატალანტა	9	0	5	4	11:18	5

ხვალ ჩვენი დროით თერთმეტის ნახევარზე, „სან სიროზე“ „მილანი“ „რომას“ უმასპინძლებს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შუა კვირაში, ბარსელონაში დამარცხების გამო „შავ-წითლების“ მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი ერთი თავდამსხმელით თამაშს ველარ გაბედავს — შეფი გაბრაზდა. ადვილი გასაგებია, რომელ შეფზეც არის ლაპარაკი: „მილანის“ პრეზიდენტსა და მთელი იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონიზე, რომლის ხანაშიც სამი დიდი „მილანი“ შეიქმნა — არიგო საკის, ფაბიო კაპელოს და კარლო ანჩელოტის. ამასთან ყველაზე შემოქმედებითი პირველის იყო, ყველაზე საშიში მეორესი, ხოლო მესამისას დღემდე ერთად ვუყურებთ და ვიცით, როგორიცაა.

მაგრამ ეს სხვა თემაა — ეტყობა კალამი გაგვექცა — რადგან ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ შუა კვირის ვარიანტი, წინ შევჩენკო და უკან სერჟინიო-კაკას დუეტი ან რამე ამდაგვარი და ამისთვის სამი თავდამსხმელის დარქმევა აღარ გავა. პრეზიდენტ-პრემიერის კატეგორიული მოთხოვნით, ორი თავდამსხმელი ნაღდი უნდა იყოს და ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ანჩელოტი ანდრეი შევჩენკოსა და ერნან კრესპოს წყვილს შემოგვთავაზებს.

ბარსელონაში ნათამაშევ კახა კალაძეს კი, როგორც საინტერნეტო გვერდები, ასევე „გაძეტა დელო სპორტი“ თერთმეტ კაცში არ იხსენიებენ. „გაძეტა დელო სპორტი“ მხოლოდ გვეუბნება, რომ კალაძე სათადარიგოთა სკამზე იჯდება, რაც ტრიბუნაზე ჯდომას ნამდვილად სჯობს.

რას შვრება ამ დროს „რომა“? ლუიჯი დელ ნერი, როგორც ჩანს, კლასიკურ და მისთვის ყველაზე კარგად ცნობილ 4-4-2 სისტემას უბრუნდება, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხვალ საღამოს „რომას“ შემადგენლობაში არ იქნება ანტონიო კასანო და ნახევარმცველთა ოთხეულს წინ ფრანჩესკო ტოტისა და ვინჩენცო მონტელას დუეტი იმოქმედებს. საეჭვოა მთავარი მეკარის, ივან პელიცოლისა და ოლივიე დაკურის თამაში, ხოლო კრისტიან პანუჩის საქმე ისევ გაურკვევლადაა — მწვრთნელთან წაჩხუბების შემდეგ მარჯვენა მცველი გუნდს დაუბრუნდა თუ წავიდა და ამით რომაული კარიერა დაასრულა, არავინ იცის.

თუ ეს რამეს ნიშნავს: ისტორიაში „მილანი“ — „რომა“ ყველაზე უხვგოლიანი ორჯერ, 1935 და 1950 წლებში იყო. პირველად თამაში დამთავრდა ფრედ, 4:4, ხოლო მეორედ „შავ-წითლებმა“ 6:2 მოიგეს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ორივეჯერ 8 გოლი გავიდა.

ლიდერი კი რეჯო კალაბრიაში, „სტადიო გრანილოზე“ ჩააბარებს სუსტ მეტოქესთან თამაშის მორიგ გამოცდას. დიახ, იქ სამი ქულის მოპოვება, სადაც აუცილებლად უნდა მოიპოვო, ოსტატობისა და დონის ცალკე მაჩვენებელია. კაცმა რომ თქვას, ბოლოს ჩემპიონები მეორე ადგილებზე გასულებს სწორედ ამით უსწრებენ ხოლმე, თორემ დერბის ტიპის თამაშებისთვის ისედაც ყველა ემზადება.

მეათე ტურისთვის „რეჯინა“ და „იუვენტუსი“ ასე მივიდნენ: მასპინძლებმა ბოლო ხუთ თამაშში ერთადერთი ქულა მოიპოვეს, ხოლო „ბებერმა ქალბატონმა“ რვა თამაში მოიგო და ერთი ფრედ ითამაშა. მატჩი „გრანილოზე“ დღეს, საღამოს თერთმეტის ნახევარზეა დანიშნული.

„ინტერი“ ფლორენციაშია. ეს ხვალ 17 საათის ამბავია და ძალიან საინტერესოა, რას იზამენ „შავ-ლურჯები“, ისევ დაწინაურდებიან და ბოლოს გაუშვებენ გოლს, თუ რაიმე სხვა აქვთ მათ და ბედ-იღბალს გეგმაში. ჩახედეთ ცხრილს — ცხრა ტურის შემდეგ „ინტერს“ შვიდი ფრე აქვს ნათამაშევი და „იუვენტუსს“ 12 ქულით ჩამორჩება... დღეს უკვე მეათე ტურია!

და სკუდეტო?

ინგლისი

ირაკლი ვამეყრელიძე

მოულოდნელი შეხვედრა სტემფორდ ბრიჯზე

XII ტური		
დღეს		
ასტონ ვილა	:	პორტსმუთი
ტოტენჰემი	:	ჩარლტონი
ჩელსი	:	ევერტონი
კრ. პალასი	:	არსენალი
ლივერპული	:	ბირმინგემი
ნორვიჩი	:	ბლეკბერნი
საუთჰემპტონი	:	ვესტ ბრომვიჩი
ხვალ		
მიდლსბრო	:	ბოლტონი
ნიუკასლი	:	ფულემი
მანჩესტერი	:	სიტი

საღლეისო ვითარება						
არსენალი	11	8	2	1	31:12	26
ჩელსი	11	8	2	1	16:3	26
ევერტონი	11	7	2	2	14:10	23
ბოლტონი	11	6	3	2	18:13	21
მიდლსბრო	11	5	3	3	19:14	18
ლივერპული	10	5	2	3	18:10	17
მანჩესტერი	11	4	5	2	11:9	17
ნიუკასლი	11	4	4	3	22:19	16
პორტსმუთი	10	4	3	3	15:12	15
ასტონ ვილა	11	3	6	2	14:13	15
ტოტენჰემი	11	3	4	4	6:8	13
სიტი	11	3	3	5	13:12	12
ჩარლტონი	11	3	3	5	10:19	12
კრ. პალასი	11	3	2	6	12:15	11
ფულემი	11	3	2	6	12:19	11
ბირმინგემი	11	1	6	4	7:10	9
ვესტ ბრომვიჩი	11	1	5	5	9:20	8
საუთჰემპტონი	11	1	4	6	8:14	7
ნორვიჩი	11	0	7	4	10:18	7
ბლექბერნი	11	1	4	6	9:24	7

ძაან ტურია, თუნდაც იმიტომ, რომ „ჩელსი“ „ევერტონს“ მასპინძლობს და თუ ეს ღიმილისმომგვრელ ამბად გეჩვენებათ, ცხრილს ჩახედეთ — „ევერტონი“ მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება ჟოზე მაურინიუს გუნდს. უცნაურია? ასე კია და მთავარი უცნაურობებიც, ალბათ, წინ არის. ამგვარი ცხრილის ფონზე, თამაში სხვა მნიშვნელობას იძენს.

ლიდერი „არსენალი“ „კრისტალ პალასს“ მასპინძლობს, „ოლდ ტრეფორდზე“ კი მანჩესტერული დერბია და სერ ალექსი „სიტის“ დიდი ანგარიშით დაშამათებისკენ მოუწოდებს „იუნაიტედს“.

„ევერტონმა“ რომ აგვისტოში უეინ რუნი მიყიდა „მანჩესტერს“, გასავარდნთა სიაში ჩაწერეს, პირიქით კი მოხდა — გუნდი სამეულშია. ამასობაში „ჩელსი“ თავისი ზედიზედ მეხუთე გამარჯვებისთვის ემზადება (ყველა შეჯიბრებაში), რაც იმას ნიშნავს, რომ პრემიერლიგაში მეცხრე მატჩის მოგებას აპირებს და რაც ასევე იმას ნიშნავს, რომ 11 თამაშში „ჩელსიმ“ 3 გოლი გაუშვა, ბოლო ორ სალიგო მატჩში კი თითოში 4-4 გაიტანა.

ამ შთამბეჭდავობის მიუხედავად, „ევერტონთან“ თამაში სერიოზული ტესტია. „ევერტონი“, რომელმაც გასვლითი ხუთი თამაშიდან არცერთი არ წააგო, ქულას მაინც დაებღაუჭება და თანაც გაალმასებით.

„არსენალი“ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს „ჩელსის“, თუმცა მძიმე ორი კვირა გადაიტანა ერთი მარცხითა და სამი ფრით. ამიტომ „პალასთან“ მობილიზება მართებს, რადგან პატარა გუნდი ახლა გამეცადინებულია, ეს არის და, „მეთოფენი“ უხასიათოდ მოვიხელთეთო.

ვენგერის ძირითად შემადგენლობას ოქტომბრის შუიდან აღარ მოუგია, მხოლოდ დუბლებმა იმარჯვეს ლიგის თასზე, სოლ კემპბელის აწინდელი ტრავმა კი გუნდის დაცვაშიც ურევს საქმეებს. „პალასი“ კი, რომელსაც თავიდან ძალიან გაუჭირდა, ახლა მოკეთდა, ბოლო 4-დან სამი თამაში მოიგო და პრემიერლიგასაც შეეგუა.

და რა თქმა უნდა, დერბია „ოლდ ტრეფორდზე“ — „სიტის“ მთავარი იმედი ამ თამაშში შონ რაიტ-ფილიპსი ჩანს, „იუნაიტედი“ კი კარგ ხასიათზეა პრაღის „სპარტას“ განადგურების შემდეგ, თუმც რუუდ ვან ნისტელროოი დასჯილია.

„ლივერპული“ მასპინძლობს „ბირმინგემს“, რომელიც წლეულს ჯეროვანი ვერ არის. „ენფილდს“ უბრუნდება ძველი ლივერპულელი, ემილ ჰესკი, ოღონდ ამჯერად ლურჯ სამოსში. „ლივერპულს“ ტრავმები სტანჯავს და ეგებ ოცნებობს კიდეც, რომ ჰესკი მის თავდასხმის ხაზში იდგეს, თუმცა, უამისოდაც 3 ქულისთვის იბრძოლებს.

ბოლო 4 თამაშის წამგები „ტოტენჰემი“ „ჩარლტონს“ მასპინძლობს. „დეზებს“ მხოლოდ 6 გოლი აქვთ გატანილი 11 თამაშში და ეს 4 ინგლისურ ლიგაში ყველაზე ცუდი შედეგია. ვნახოთ, ამჯერად რა გამოვა.

შარშან „ოლდ ტრეფორდზე“ პოლ სქოულზმა და იუნაიტედელებმა თანაქალაქელები 3:1 დაამარცხეს

გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

დიკ ადვოკაატმა საქმეს და „გლადბახს“ ხელი მოჰკიდა

მაკაის ბოლი გაუშრა

XII ტური

დღეს

მაინცი	:	გლადბახი
ბაიერნი	:	ჰანოვერი
ბოხუმი	:	ლაუტერნი
არმინია	:	დორტმუნდი
ლევერკუზენი	:	ფრაიბურგი
ჰერტა	:	ვერდერი
ნიურნბერგი	:	ვოლფსბურგი

ხვალ

შტუტგარტი	:	ჰანზა
ჰამბურგი	:	შალკე

საუკეთესო ვითარება

ვოლფსბურგი	11	8	0	3	20:14	24
შალკე	11	7	0	4	16:15	21
შტუტგარტი	11	6	2	3	20:12	20
ჰანოვერი	11	6	2	3	19:11	20
ბაიერნი	11	6	2	3	16:12	20
ვერდერი	11	6	1	4	23:13	19
მაინცი	11	5	3	3	20:17	18
ლევერკუზენი	11	4	3	4	17:17	15
ჰერტა	11	3	5	3	13:10	14
არმინია	11	4	2	5	11:12	14
დორტმუნდი	11	3	5	3	14:16	14
ნიურნბერგი	11	3	4	4	18:18	13
ჰამბურგი	11	4	1	6	15:18	13
გლადბახი	11	3	3	5	15:17	12
ბოხუმი	11	2	4	5	15:22	10
ლაუტერნი	11	3	1	7	13:21	10
ფრაიბურგი	11	2	4	5	10:19	10
ჰანზა	11	2	2	7	10:21	8

მიუნხენის „ბაიერნი“, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ტურინის „იუვენტუსთან“ შინ დამარცხდა, ზედიზედ ექვსი მატჩის მომგებ „ჰანოვერს“ მასპინძლობს. როი მაკაის უკვე ხუთი თამაშია, გოლი არ გაუტანია და ფელიქს მაგათი იმედოვნებს, რომ ჰოლანდიელი ნავს გატეხს. დღევანდელ შეხვედრას დისკვალიფიცირებული ლუსიო გამოტოვებს, ხოლო „იუვენტუსთან“ დაშავებული გიორლიცი ფეხბურთს ექვსი თვით ჩამოშორდა. „ჰანოვერთან“ გუნდს ვერც თომას ლინკე დაეხმარება, რადგან სეზონში მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო და დასჯილია. გამორიცხული არაა, ძირითად შემადგენლობაში სებასტიან დაისლერმა ითამაშოს. ჰანოვერელი მიხაელ ტარნატი კი პრემიერლიგიდან დაბრუნების შემდეგ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პირველად ითამაშებს.

ბუნდესლიგის ლიდერი „ვოლფსბურგი“ „ნიურნბერგს“ ეწვევა, რომელმაც გასულ უქმეებზე სტუმრად როსტოკის „ჰანზა“ დაამარცხა. ნიურნბერგელებს ტომაშ ჰაიტო დააკლდებათ, ხოლო „მგლებს“ კვლავ ფორმაში ჰყავთ მეგოლე მარტინ პეტროვი.

სანამ რალფ რანგნიკი გელზენკირხენის „შალკეს“ ჩაიბარებდა, მე-15 ადგილზე იყო, ახლა კი მეორე საფეხურზე გამოიჭიმა. თავის მხრივ, „ჰამბურგის“ ახალ თავკაც თომას დოლსაც კარგი შედეგი აქვს მას შემდეგ, რაც გუნდი კლაუს ტოპმიოლერისგან ჩაიბარა, ამიტომაც ორი ახალი მწვრთნელის ჯახი საინტერესო უნდა გამოდგეს.

ბუნდესლიგაში მიჯრით სამი მარცხის შემდეგ „შტუტგარტმა“ უეფას თასზე „ბენფიკას“ შთამბეჭდავად ძლევა შეძლო, ახლა კი როსტოკის „ჰანზას“ მასპინძლობს. მათიას ზამერის შეგირდები გამარჯვებას ლამობენ და, ალბათ, კაკუსა და კურანის პატრონებს მეტოქის ძლევას შეძლებენ. „შტუტგარტს“ სასჯელმოხდილი მცველი მარტინ შტრანცლი დაუბრუნდება.

„მაინცი“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ დაუხვდება, რომელსაც ახალი მწვრთნელი, ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი თავკაცობს. ადვოკაატის მისვლამდე „ბორუსიამ“ დროებითი, მოყვარულთა მწვრთნელის ხელქვეით მიუნხენის „ბაიერნს“ სძლია, ახლა კი ადვოკაატისგან მეტსაც მოითხოვენ. მასპინძლებს გამთამაშებელი მიმუნ აზაუაგი, იურგენ კრამნი და დისკვალიფიცირებული მეგოლე ნიკლას ვაილანდი დააკლდებათ.

შარშანდელი კერკეტი კაკალი „ბოხუმი“ „კაიზერსლაუტერნს“ მიიღებს. კაიზერელთა მწვრთნელი კურტ იარა გათავისუფლებას გასულ ტურში გადაურჩა, რაკი შინ ბილეფელდის „არმინიას“ მოუგო, მაგრამ ამ გამარჯვებით გუნდის სატურნირო ვითარება დიდად არ გაუმჯობესებულა. ბოხუმელებს მცველ რაიმონ კალა დააკლდებათ.

ბერლინში „ჰერტა“ „ანდერლეხტის“ გამანადგურებელ „ვერდერს“ უმასპინძლებს. ბრემენელ „მუსიკოსებს“ ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი გამოუკეთდათ — დავალა უმითი, დანიელ იენსენი, კრისტიან ლაგერბლომი და ანგელოს ხარისტეასი.

დედაქალაქელებს მცველი არნე ფრიდირიხი და მარკო რემერი ტრავმის გამო ვერ დაეხმარებიან.

ესპანეთი

ლადო ბურკაძე

ჩემი ძმა, ჩემი ლუკე

ჟიული დეპორტივოს მონაკოს გაახსენებს

X ტური

დღეს

ბარსელონა	:	დეპორტივო
ალბასეტე	:	ბეტისი

ხვალ

ატლეტიკო	:	სარაგოსა
რასინგი	:	ნუმანსია
სოსიედადი	:	ესპანიოლი
სევილია	:	მალიორკა
ხეტაფე	:	ვალენსია
ლევანტე	:	ბილბაო
ვილიარეალი	:	ოსასუნა
მალაგა	:	რეალი

საუკეთესო ვითარება

ბარსელონა	9	7	2	0	18:4	23
სევილია	9	5	2	2	10:8	17
რეალი	9	5	1	3	8:5	16
სარაგოსა	9	5	1	3	17:15	16
ლევანტე	9	5	1	3	14:12	16
ვალენსია	9	4	3	2	17:10	15
ესპანიოლი	9	4	2	3	9:5	14
ატლეტიკო	9	4	2	3	9:6	14
ოსასუნა	9	4	1	4	13:14	13
დეპორტივო	9	3	4	2	10:13	13
მალაგა	9	3	3	3	10:8	12
ვილიარეალი	9	2	5	2	9:5	11
ბეტისი	9	2	5	2	12:13	11
სოსიედადი	9	3	2	4	9:10	11
რასინგი	9	3	2	4	6:10	11
ბილბაო	9	2	3	4	10:13	9
ალბასეტე	9	2	3	4	7:11	9
ხეტაფე	9	2	0	7	8:15	6
მალიორკა	9	1	2	6	7:14	5
ნუმანსია	9	1	2	6	4:16	5

„გადადგომა? რა თქმა უნდა, არა. ჩემი საქმე ძალიან მომწონს და უახლოეს ხანში არსად წასვლას არ ვაპირებ“ — ასე უპასუხა „დეპორტივოს“ მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ ესპანური „მარკას“ კორესპონდენტს, რომელმაც „დეპორის“ კრიზის გამო ბასკ მწვრთნელს გადადგომაზე ჩამოუგდო სიტყვა. ირურეტა ძველებურად იმედიანია, თუმც მის გუნდში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა და, ვინძლო, მას მართლაც მოუწიოს „დეპორტივოსთან“ განშორება. საქმე ისაა, რომ გალისიური გუნდი პრიმერადივიზიონში მისთვის უჩვეულო მეათე ადგილზეა, ჩემპიონთა ლიგის ოთხ მატჩში კი ირურეტას ბიჭებმა გოლიც ვერ გაიტანეს. დღეს კი ავად შეფერთხილი „სუპერდეპორი“ მორიგ რთულ ბრძოლას გადაიხდის — „ბარსელონას“ სტუმრობს.

„დეპორტივოსგან“ განსხვავებით ჩინებულ ფორმაში არიან კატალონიელები, რასაც პრიმერას პირველადგილოსნობა და ჩემპიონთა ლიგაში „მილანის“ დამარცხება ადასტურებს. ამის მიუხედავად, მაინც ფრთხილობს „ბარსას“ კამერუნელი თავდამსხმელი სამუელ ეტოო, რომელმაც თქვა: „გალისიელები ახლა საკმაოდ დასუსტდნენ, მაგრამ, მათთან შეხვედრისთვის მაინც სერიოზულად ვემზადებით. ირურეტას ამოუცნობი გუნდი ჰყავს, რომლის მოქმედების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია“ ბარსელონელთა მოიერიშეს „დეპორში“ თურმე ძმაკაციც ჰყოლია — ალბერტ ლუკე. „მე და ლუკე ერთმანეთს შავ და თეთრ ძმებს ვუწოდებთ — ამბობს ეტოო — „მალიორკაში“ თამაშისას საუკეთესო სეზონი გვქონდა, ერთად ბევრი გოლი შეეყარეთ. თუმც იმედია, შაბათს მხოლოდ შავი ძმა გაიტანს“. დანაქადნს აფრიკელი მეგოლე ხოსე ფრანსისკო მოლინას დავუბნით თუ შეასრულებს, ვინაც „მარკას“ ეს უთხრა —„დეპორტივოს“ კრიზისი, რა თქმა უნდა, უპირველესად ფეხბურთელების ბრალია, მაგრამ თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც მწვრთნელი და პრეზიდენტი აიცილებენ“.

და ერთიც, გალისიელებს „კამპ ნოუზე“ ფრანგი ჟიულიც შეაწუხებს. გეხსომებათ, ეს ის კაცია, შარშან „მონაკოში“ თამაშისას გალისიელების განადურებაში (8:3) ლომის წილი რომ დაიდო.

ლუდოვიკ ჟიულიმ „დეპორტივოს“ 8:3 შეახსენა

UEFA CUP

უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. II ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ჩიჩი ეგალეოს

ბენფიკამ ფორმა იცვალა, სახე ვერა



ჯოვანი ტრაპატონი შტუტგარტიდან შერცხვენილი გაისტუმრეს

A ჯგუფი

რუუდ გულიტის „ფეიენოორდმა“ ბუდაპეშტში ფრე გაახერხა და კვლავ ლიდერობს. სტუმარმა პატრიკ პაუვემ მეტოქე ფეხბურთელი კარის ხაზიდან დაახლოებით 30 მეტრში წააქცია და ყვითელი ბარათიც მიიღო. უნგრელმა ტოშერმა დაბალი ბურთი დაურტყა ფეიენოორდის“ მეკარეს, რომელსაც მცველები ეფარებოდნენ და ანგარიში გაიხსნა. როტერდამელებმა მეორე ტაიმში გაათანაბრეს. დირკ კუიტის პასით კალუმ სიუჩს გაუტანა. მატჩის ბოლოს მასპინძელ ჰუშტის და ლიპჩეის შეეძლოთ „ფერენცვაროშის“ დაწინაურება, მაგრამ სტუმართა მეკარემ იმარჯვა.

„ჰართსს“, რომელსაც ახალი მწვრთნელი ჰყავს, გელზენკირხენის „შალკემ“ მოუგო. „ხუმარებმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგეს და მეექვსე უეფას თასზე მიაყოლეს. აილტონმა და უდე კამპუისმა ბურთი თითოჯერ ძელს მოარტყეს, ხოლო ლინკოლნმა კაცგაძევებულ „ჰართსს“ დაახლოებით 25 მეტრიდან გაუტანა.

B ჯგუფი

ვისენტე დელ ბოსკემ მატჩამდე თქვა, „ბილბაო“ უქულოდ უნდა გავისტუმროთო და ასეც მოხდა. „ბეშიქთაში“ გიუნეშის წყალობით დაწინაურდა, რომელმაც კარეუსგან პასი მიიღო, ბურთი მოარჯულა და იგნასიო ლაფუენტეს გაუტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ესკეროშ მეტოქე ოფსაიდის შექმნისას გამოიჭირა და გაქვითა. ამის შემდეგ ემრე აშიქის ჩაწოდებულზე იონ კარეუმ იხეირა, მატჩის ბოლოს კი იბრაჰიმ აკინმაც გაიხარა.

„პარმას“ „სტიაუას“ ძლევა გაუჭირდა, ბუდელმა მეორე ნახევარში ცაციით გაუტანა რუმინელებს და ახლა ჯგუფში ჩახლართული ვითარებაა — ოთხ გუნდს სამ-სამი ქულა დაუგროვდა.

C ჯგუფი

„უტრეხტი“, რომელიც ჰოლანდიის ჩემპიონატში არცთუ ურიგოდ გამოდის, უკრაინულ „დნიპროსთან“ დამარცხდა და ცხრილის ბოლოში დაილექა. რუსლან როტანმა მასპინძელთა დაცვაში ღრიჭო გამონახა და ანგარიში გახსნა. მეორე ნახევრის მიწურულს „დნიპრომ“ ჰოლანდიელები კონტრიერიშზე დაიჭირა და სემოჩკომ მეორე შეაგდო. „უტრეხტის“ დარლ დუგლასმა იშვიათი სილამაზის გოლი კი გაიტანა, მაგრამ მასპინძლებმა მეტი ველარ შეძლეს.

ვენაში „აუსტრიამ“ თამაშით „სარაგოსას“ აჯობა და ერთი გოლიც გაუტანა. მასპინძელთა მწვრთნელმა მეორე ტაიმში ორი შეცვლა გააკეთა და გოლიც ამან მოუტანა. ივიცა ვასტიჩმა ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა, მცველმა მოიგერია ბურთი, მაგრამ იგი შეცვლაზე შესულ გილევიჩს მიუვიდა და მანაც საჩუქარი შეირგო.

E ჯგუფი

ბელგრადში „პარტიზან“ — „ეგალეოს“ მატჩის გმირი საშა ილიჩი გახდა, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა. ილიჩმა ერთი პირველ ტაიმში გაიტანა, ორიც მეორის დასაწყისში. „პარტიზანის“ ფორვარდმა ჯერ ჩირიჩის პასი გამოიყენა, მერე კი კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მიაბრძანა ბერძენთა კარში. მოგვიანებით, ვუკჩევიჩმაც გაიხარა და „ეგალეოს“ მეოთხე მიართვა.

სტივ მაკლარენის „მიდლსბრომ“ „ლაციოს“ ძლევით ჯგუფში პირველი ადგილი შეინარჩუნა. პრემიერლიგელთა ორივე გოლი ჰოლანდიელმა ლეგიონერმა ბუდევინ ზენდენმა მიითვალა — დოუნინგის ჩაწოდებული ბურთი რომაელმა მცველებმა ვერ გამოიტანეს, ზენდენმა კი საჯარიმოს ხაზიდან დარტყმით ანგარიში გახსნა. ჰოლანდიელმა მეორე გოლიც დოუნინგის პასით მიითვალა. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ზენდენს ბურთი თავზე დაასვა და მასაც გატანა არ გასჭირვებია.

F ჯგუფი

„გრაცერმა“ „ამიკასგან“ პირველივე ტაიმში გაუშვა გოლი, მაგრამ მასპინძელმა როლანდ კოლმანმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ავსტრიელებს მოაგებინა. შედეგად „გრაცერი“ პირველ ადგილზე დაჯდა.

ფრანგულმა „ოსერმა“, რომელსაც ჩემპიონატში კარგა ხანია, არ წაეგო, ჰოლანდიაში „ალკმაართან“ დათმო. მასპინძლებმა ანგარიში მალევე გახსნეს. მარჯვენა ფლანგიდან ჩაკიდული ბურთის კარში დარტყმას ბარი ვან გალენი ეცადა, მაგრამ პასი გამოუვიდა და ჰიუსგემსმა ფაბიენ კულს ახლოდან გაუტანა. იშტაზე მოსულმა ჰიუსგემსმა იქვე მეორეც მიაყოლა. ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, ცენტრისკენ დაიძრა, სამი მეურვე გააბითურა და შორიდან დარტყმით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

G ჯგუფი

5154	ჰერტა-ვერდერი	3.9	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.8
5155	ლევერკუზენი-ფრაიბურგი	2.1	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
5156	მაინცი-მიონხენგლადბახი	2.8	10.0	20.0	3.8	4.4	6.5	20.0	10.0	5.6
5157	ნიურბერგი-ვოლფსბურგი	3.9	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.8
5158	შტუტგარტი-ჰანზა	2.1	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
5159	ჰამბურგი-შალკე	3.6	10.0	20.0	4.5	4.4	4.5	20.0	10.0	3.7
5160	ატალანტა-სამპდორია	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.2
5161	ბოლონია-მესინა	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
5162	ბრეშა-კიევო	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.2
5163	კალიარი-ლივორნო	2.9	10.0	20.0	3.8	4.4	6.4	20.0	10.0	5.5
5164	ფიორენტინა-ინტერი	4.8	10.0	20.0	5.3	4.4	4.2	20.0	10.0	3.2
5165	ლაციო-სიენა	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
5166	ლეჩე-უდინეზე	3.3	10.0	20.0	4.4	4.2	5.3	20.0	10.0	7.0
5167	მილანი-რომა	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
5168	პალერმო-პარმა	2.9	10.0	20.0	3.8	4.4	6.4	20.0	10.0	5.5
5169	რეჯინა-იუვენტუსი	7.0	10.0	20.0	7.5	4.6	3.5	20.0	10.0	2.5
5170	ალბასეტე-ბეტისი	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.2
5171	ატლეტიკი-სარაგოსა	2.9	10.0	20.0	3.8	4.4	6.4	20.0	10.0	5.5
5172	ბარსელონა-დეპორტივო	2.3	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
5173	ხეტაფე-ვალენსია	4.2	10.0	20.0	4.8	4.4	4.6	20.0	10.0	3.0
5174	ლევანტე-ბილბაო	3.5	10.0	20.0	4.4	4.4	5.0	20.0	10.0	4.4
5175	მალაგა-რეალი	8.0	10.0	20.0	9.0	4.6	3.5	20.0	10.0	2.3
5176	რასინგი-ნუმანსია	2.7	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.5
5177	სევილია-მალიორკა	2.3	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
5178	სოსიედადი-ესპანიოლი	3.5	10.0	20.0	4.4	4.4	5.0	20.0	10.0	4.4
5179	ვილიარეალი-ოსასუნა	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲚᲐᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘ: ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲯᲘᲣᲓᲝᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲚᲝᲖᲐᲜᲨᲘ

ერთთვიანი გერმანული ვიზიტის შემდეგ ამ დღეებში ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური საქართველოში ახალი ჯილდოებით და საჩუქრებით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ათენური გამარჯვება უცხოეთშიც გვარიანად დაუფასდა. ძიუდოს კლუბ „აბენსბერგის“ პრეზიდენტმა, ევროპული ძიუდოს შეფთაგანმა ოტო კნეითინგერმა ჩასვლისთანავე სპეციალური პრიზი დაახვედრა. ზვიადაურიც უმალ ბუნდესჩემპიონობას დაჰპირდა და მალევე სიტყვა საქმედ აქცია. მაგრამ ვიდრე აბენსბერგელებს გაახარებდა, ორი დღით შვეიცარიაში გადაფრინდა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან დაწესებული პრიზი მიიღო, როგორც ათენის ოლიმპიადის საუკეთესო ევროპელმა ძიუდოისტმა. გერმანიიდან ზურამ სხვებისთვისაც გამოიყოლა საჩუქრები. მშობლიურ ახმეტაში მოვარჯიშე პატარა ძიუდოისტებს ახალი კიმონოები დაურიგა. ზურასთან ინტერვიუ კახეთში გამგზავრებამდე, საბურთალოზე, მის ნაქირავებ ბინაში ჩავწერეთ (ჩემპიონობისთვის დაპირებული ბინა ჯერ არ მიუღია)

— ოლიმპიადის შემდეგ თითქმის ერთი თვე გამიცდა. ვარჯიში გერმანიაში დავიწყე და თავიდანვე დატვირთვებს შეგნებულად მოვერიდე. ზედმეტი წონაც აშკარად მეტყობოდა, არადა, სამ დღეში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა მეჭიდავა.

— ესე იგი, ფორმის აღდგენა ვერ მოასწარი?

— ჩვეულ ფორმას უცებ რომ ვერ აღვიდგენდი, თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ მწვრთნელები დავაიმედე, აუცილებლად მოვიგებ-მეთქი. დავუმალე, უვარჯიშებელი რომ ვიყავი, ვუთხარი, ერთი კვირის წინ დავიწყე მზადებაო.

— სამ დღეში ხალიჩას წარუმატებლად დაუბრუნდი, „აბენსბერგი“ კი ფინალს მიღმა დარჩა...

— სამწუხაროდ, შუა ჭიდაობიდან მომხსნეს. მსაჯებს ჩემი წამოწყებული ილეთი არ მოეწონათ, კისერში ცუდად შეხვედით. არადა, ისეთი არაფერი გამიკეთებია. რაც ჭიდაობა დავიწყე, სულ ასე ვაკეთებ და არასოდეს დავსჯილვარ. ჩვენი გუნდი ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ იქვე დავთქვით, რომ ბუნდესლიგას აუცილებლად მოვიგებდით. ეს სიტყვა პირნათლად შევასრულეთ.

— იქ უკვე ოთხი გამარჯვება იზეიმე. ფორმა აღიდგინე თუ მეტოქეები იყვნენ შედარებით სუსტები?

— მეტოქეების სისუსტეზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვერც იმას ვიტყვი, მთლად ოლიმპიადისდროინდელ ფორმაში ჩავდექი-მეთქი. უბრალოდ, იმ დონემდე ავიწიე, რომ წარმატების მიღწევა რეალურად შემეძლო.

— შენს გარდა „აბენსბერგს“ ოლიმპიადაზე თავგამოჩენილი სხვა ძიუდოისტები თუ ჰყავდა?

— ჩემპიონი მარტო მე ვიყავი, გერმანელმა მიხაელ ჟურაკმა (100 კგ) და ესტონელმა ინდრეკ პერტელსონმა (მძიმე) კი საპრიზო ადგილები დაიკავეს.

— ალბათ ოლიმპიურ ჩემპიონს დახვედრასაც განსაკუთრებულს მოგიწყობდნენ...

— განსაკუთრებული ყურადღება არც ჩასვლისას მიგრძვნია და არც მას შემდეგ. უბრალოდ, უემოციოდ მომილოცეს. ოტო კნეითინგერმაც ერთი-ორი თბილი სიტყვა მაკმარა. რამდენიმე დღეში ოლიმპიურ პრიზიორებს სპეციალური პრიზები გადმოგვცეს.

— ქუჩაში თუ გცნობდნენ?

— არავის ვუცვნივარ. ავტოგრაფებს მხოლოდ ძიუდოს დარბაზში მთხოვდნენ.

— „აბენსბერგის“ პრეზიდენტმა გვითხრა, ზვიადაურის ოლიმპიურმა ოქრომ გუნდისადმი მაყურებლის ინტერესიც გაზარდაო.

— გულშემატკივრის მოზღვავება არ მიგრძვნია. გერმანელები ცოტა სხვანაირები არიან. სპორტის რომელიღაც სახეობა თუ არ აინტერესებთ, ინტერესს ვერც ოლიმპიური ოქროთი აღუძრავ და ვერც სხვა ჯილდოებით. ძიუდოსაც გულშემატკივართა ერთი გუნდი ქომაგობს, რომლებსაც კონკრეტული ტურნირისთვის სხვა არავინ ემატება. ეს გუნდი კლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბთან ისეა დაახლოვებული, გვერდიდან არ სცილდება, გასვლით შეხვედრებსა და ბანკეტებზეც კი.

— ქართველები თუ მოვიდნენ შენს საქომაგოდ?

— ევროპის საკლუბო პირველობისას არავინ მოსულა. როგორც ჩანს, არ იცოდნენ. ბუნდესლიგაზე კი რეგენსბურგიდან სამი ბიჭი ჩამოვიდა და სიტყვით ვერ გადმოგცემთ, ჩემს სიხარულს, იმათი შეძახილები რომ გავიგონე. ამ სამეულის ხმას ათას ხმაში ვარჩევდი და იმ წუთში მათთვის ვჭიდაობდი. კარგადაც ვახალისე. ყველა შეხვედრა სუფთად მოვიგე და „აბენსბერგმაც" იჩემპიონა. სალამოს სამივე საჩემპიონო ბანკეტზე წავიყვანე, მეორე დღეს კი უკვე ოტო კნეითინგერის დაბადების დღეზე მოვულხინეთ.

— ბუნდესლიგის ნახევარფინალში ოლიმპიადაზე ძლეული ბრიტანელი ზანგის, გორდონის გუნდს აჯობეთ. ეს გორდონი როგორ შეგხვდა?

— მშვენივრად. თბილად მომიკითხა და მაშინვე ბრიტანეთში გამოცემული ჟურნალი მაჩვენა, ნახე, შენი ფოტო დაბეჭდესო.

— ათენური შეხვედრა არ გაუხსენებია?

— სიტყვაც არ დაუძრავს, მაგრამ მე მინდოდა, ერთხელაც დავჭიდებოდი და გემრიელად მომეგო. ოლიმპიადაზე ხომ მსაჯებმა მოხსნეს გაფრთხილებების გამო. სამწუხაროდ, გერმანიაში ერთი წონით მაღლა, 100 კილოგრამში იჭიდავა.

— ბუნდესლიგამდე ლოზანაში დაგაჯილდოვეს. რას ნიშნავს შენთვის, იყო ევროპის ყველა წონითი კატეგორიის საუკეთესო ძიუდოისტი?

— ჩემპიონი რომ ხდები, დიდებული გრძნობაა. აი, ასეთ დაფასებას რომ გრძნობ — განსაკუთრებული. შვეიცარიაში მიღებული ჯილდო მთელი ცხოვრება დამამახსოვრდება. ევროპის 35 უძლიერეს სპორტსმენში ერთადერთი ქართველი ვიყავი და ყველა პატივისცემით მეპყრობოდა. ლოზანაში ჩაფრენილს აეროპორტშივე დამხვდნენ და ისეთ სასტუმროში დამაბინავეს, მანამდე თვალით რომ არ მენახა. ენა არ ვიცოდი და იქვე მითხრეს, თარჯიმანი თბილისიდან ხვალვე ჩამოფრინდებაო. ოლიმპიური მუზეუმისთვის გაჩემპიონებისას რომ მეცვა, ის კიმონო მთხოვეს.

— საინტერესოა, აქამდე შეინარჩუნე?

— არა. საბერძნეთშივე ვაჩუქე დავით ქევხიშვილს. ამიტომაც, ოლიმპიური კომიტეტის წევრებს ფინალამდე ნაცვამ კიმონოს დავპირდი.

— სხვა ნომინანტებს თუ იცნობდი მანამდე?

— ბევრზე მსმენოდა და ზოგიერთის გამოსვლაც მინახავს, მაგრამ ცნობით არავის ვიცნობდი. ურთიერთობა არ მიჭირს და როგორც კი ფოიეში რუსულად მოლაპარაკე ჯგუფი შევნიშნე, მივუახლოვდი და გავიცანი. უკრაინელი მოცურავე იანა კლოჩკოვა, რუსი ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევა და ასევე რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა იყვნენ. ცოტა ხანში ბუვაისა საიტიევმა დამკრა ბეჭზე ხელი, გილოცავ ლამაზად გაჩემპიონებასო. ამ მოჭიდავეზე ბევრი კარგი მსმენოდა, მინდოდა, თავად გამეცნო და რომ დამასწრო, ძალიან გამიხარდა. სამწუხაროდ, დაჯილდოების შემდეგ გამართულ ბანკეტზე მაგიდასთან ადგილები დანომრილი იყო და ერთად ვერ დავსხედით.

— ოფიციალური დაჯილდოების ცერემონია როგორი იყო?

— ნომინანტები დარბაზში ვისხედით. სცენაზე სახეობების მიხედვით გვიძახებდნენ, ჯილდოებს გადმოგვცემდნენ და სიტყვის სათქმელად მიკროფონთან მივდიოდით. ზოგი დედას უძღვნიდა ოლიმპიურ ოქროს, ზოგი მეგობარ გოგოს. მე კი ყველასგან განსხვავებული ტექსტი მქონდა. ასეთი დაფასებისა და სიხარულის მონიჭებისთვის ოლიმპიური კომიტეტისთვის უნდა მეთქვა მადლობა და ორგანიზების უმაღლესი დონეც მეხსენებინა. დავიწყე კიდეც, მაგრამ გადაჭედილ დარბაზს გავხედე თუ არა, უეცრად გავჩუმდი. ისე ავნერვიულდი, სიტყვა ველარ ვთქვი. ჩავფიქრდი, თავი დავხარე და პრიზს დავუწყე ცქერა. რამდენიმე წამი სიჩუმეში გაილია. ველარაფერს ვამბობდი, მერე თავი ავწიე და გავიღიმე. ამ ღიმილმა იმხელა ოვაციები გამოიწვია, არც ერთ გამომსვლელს არ ჰქონია. მეც გონება დამიბრუნდა და სათქმელი ჩავამთავრე. ცერემონიის დასრულების შემდეგ ერთერთმა წამყვანმა მითხრა, ყველაზე ლამაზი და ბუნებრივი შენ იყავიო.

— სხვა ნომინანტებთან ურთიერთობა ბანკეტით დაასრულე?

— ბანკეტის მერე ნომინანტებისთვის დისკოთეკაც მოეწყო, თუმც იქ აღარ წავსულვარ. აღარც მეორე დღეს მინახავს ვინმე, მაგრამ ახალგაცნობილებთან მეგობრობა აუცილებლად გაგრძელდება.

— „აბენსბერგს" მივუბრუნდეთ, ძველი კონტრაქტი დაგიმთავრდა, ახლის გაფორმებას აღარ ვაპირებ, ჯერ კიდევ გერმანიიდან გვითხარი. კნეითინგერთანაც ისაუბრე?

— აბენსბერგში ჭიდაობას რომ აღარ ვაპირებ, ჯერ მისთვის არ მიცნობებია. ახალ ხელშეკრულებაზე წლის ბოლოს უნდა დამირეკოს, თუმც ალბათ მანამდე თვითონ შევეხმიანები და ყველაფერს ვეტყვი.

— და კარიერას „საგარეჯოში" გააგრძელებ?

— აუცილებლად. ამ კლუბის შექმნის შესახებ შოთა ხაბარელმა მაცნობა და იმ წუთში მივიღე გადაწყვეტილება. მაშინვე ვუთხარი, მოვდივარ-მეთქი და უმალ ჯარჯის ჩამოყვანა მომივიდა თავში.

— ადრე გვითხარი, ჯარჯის „საგარეჯოში" ჭიდაობის საკითხს თბილისში ჩამოსვლისთანავე თვითონ მივხედავო. რამე ახალი ხომ არ გაარკვიე?

— ქართული კლუბის შექმნამდე ჯარჯის „აბენსბერგში" გადაყვანას ვაპირებდი და ბერძნებიც უპრობლემოდ უშვებდნენ, მაგრამ როცა საქმე „საგარეჯოზე" მიდგა, უკვე უარობენ, აქამდა, კლუბის გაკეთებას ჩვენც ვაპირებთ და ველარ დაგითმობთო. არ ვიცი, რამდენად მართალია. თუ ასე არაა, ყველა ღონეს ვიხმართ ჯარჯის ჩამოსაყვანად.

— რა დონის გუნდი იქნება „საგარეჯო"?

— თუ შემადგენლობით ვიმსჯელებთ, არათუ „აბენსბერგის", ნებისმიერი ძლიერი კლუბის დამარცხება შეგვეძლება. აუცილებლად საჩემპიონოდ ვიბრძოლებთ.

— თბილისში დაბრუნებული როგორი რიტმით ივარჯიშებ? შენი პოპულარობის გამო ხომ უამრავ შეხვედრასა და ღონისძიებაზე გიწევს სიარული.

— ჩემი მთავარი საქმე ძიუდოა და შესაბამისად, პირველ ადგილზე ვარჯიში უნდა დავაყენო. ჩამოსვლის დღესვე მივაკითხე დარბაზს და ვეცდები, რეჟიმიდან აღარ ამოვვარდე.

— ახალ ბინაში როდის გადახვალ?

— ჯერ არც მიმიღია. მგონი, მომავალი წლისთვის გადამიწიეს.

— კვირას ქართულ ჭიდაობაში წლის ფალავანი უნდა გაირკვეს. იჭიდავებ?

— აუცილებლად. ქართულ ჭიდაობაზე უარი არასოდეს მითქვამს. მუსიკის ხმა რომ მესმის, მეორე სუნთქვა მეხსნება ხოლმე. გერმანიაში წასვლამდე ვიცოდი, რომ 30 ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი და ვერ წარმოიდგენთ, როგორ მწყდებოდა გული, ბუნდესლიგას რომ ემთხვეოდა. ერთი კვირით გადმოუწევიათ, უკვე აქ ვარ და აბა, რამ უნდა შემიშალოს ხელი?

— ჩემზე 30-40 კილოგრამით მძიმეებთან რა შანსი გექნება?

— ახლა რომ ვარ, ამაზე მძიმე არასოდეს ვყოფილვარ და ყოველთვის დიდებთან მიწევდა ჭიდაობა. წონით კი დავიჩაგრები, მაგრამ ვეცდები, მოხერხებით და მონდომებით მოვიგო. ყველა უმთავრეს კონკურენტთან ნაჭიდავები მაქვს. ასე რომ, ფალავნობის შანსი რომ არ მქონდეს, ჩოხასაც არ მოვირგებდი.

ოთარ მაღლაკელიძე

ზურაბ ზვიადაური სოკ-ის ახალ და ძველ პრეზიდენტებთან — ჟაკ როგთან და ხუან ანტონიო სამარანჩთან

ალინა კაბაევა და იანა კლოჩკოვა მშვენიერი კომპანიონები არიან

NBA რეგულარული ჩემპიონატი



ემეკა ოკაფორის (მარცხნივ) „შარლოტ ბობქეთსმა“ მარცხით დაიწყო

ალბათ დაიზრდებიან

ფოცხვერები კბენას სწავლობენ

— 4 ნოემბერი —

დენვერი 94:92 მინესოტა

ძირითადი დრო 88:88

დენვერი: მილერი (19), ენტონი (19 ქულა, 14 მოხსნა), მარტინი (18 ქულა, 13 მოხსნა)

ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო

მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი, 5 დაფარება), ჰასელი (17)

შარლოტი 96:103 ვაშინგტონი

შარლოტი: ოკაფორი (19 ქულა, 10 მოხსნა), ბრეძეცი (15), სმიტი (15)

ვაშინგტონი: ჯემისონი (24), არენასი (19), ჰეიესი (17)

მაიამი 92:86 კლივლენდი

მაიამი: ვეიდი (28), ონილი (17), ჰესლიმი (15)

კლივლენდი: გუდენი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჯეიმსი (21)

ქალაქ შარლოტს დიდი კალათბურთი დაუბრუნდა. მართალია, ისე ვერა, როგორც იქაური და, ალბათ, მთელს ნბა-ში ყველაზე მღელვარე პუბლიკა ისურვებდა, მაგრამ ხომ დაუბრუნდა. გამარჯვებებს კი დრო მოიტანსო, ამბობენ შარლოტელები და ნათელ მომავალზე ფიქრობენ.

„შარლოტ ბობქეთსმა“ თავის არსებობაში პირველი მატჩი შარლოტის ძველ ბინადარ, „ჰორნეთსის“ დარბაზ „შარლოტ კოლიზეუმში“ გამართა. დარბაზი, რაღა თქმა უნდა, პირთამდე გადაიჭედა. 23 319 შარლოტელმა მოქალაქემ პატიოსნად შეავსო „კოლიზეუმი“ და დიდი ჟრიამულით უქომაგა „ფოცხვერებს“, მაგრამ მასპინძლებმა მაინც წააგეს არცთუ ძლიერ მეტოქესთან. „ვაშინგტონ ვიზარდსი“ საშუალო გუნდადაც ვერ ჩაითვლება, მაგრამ „ბობქეთსს“ და მის 23 ათას მხარდამჭერს მაინც გასწვდა.

არადა, „ბობქეთსი“, რომელიც მთელი სეზონი ერთადერთი ხეირიანი მოთამაშის, ისიც ახალბედა ემეკა ოკაფორის იმედად უნდა იყოს, მთელი საღამო თანაბრად ეთამაშა გამოცდილ მეტოქეს და ბოლო მეოთხედში გატყდა. ოკაფორმა თავის პირველ პროფესიულ მატჩში რიგიანი ჯეელის შთაბეჭდილება დატოვა — ნბა-ური კარიერა 19 ქულით და 10 მოხსნით დაიწყო, ნამატჩევს კი თქვა — ხომ ხედავთ, თამაში შეგვიძლია და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყოველ შეხვედრაში მოსაგებად გავალთ მოედანზეო. ვერაფერს იტყვი, ბიჭს ნიჭთან ერთად ამბიციაც მოსჭარბებია.

4 ნოემბერს კიდევ ორი მატჩი გაიმართა. შაკილ ონილის „მაიამიმ“ ამ სეზონში მეორედ მოიგო, ამჯერად შინ, დევშაკმა კი მხოლოდ 17 ქულა ჩააგდო და ხალხს კვლავ გაუჩინა სალაპარაკო, ფორმაში ვერაა და ახალ გუნდში 20 ქულის გაკეთება პრობლემად ექცაო. შაკზე ჭორაობს ყველა, წყნარი ოკეანის სანაპიროდან ატლანტიკისპირებამდე და ყველა ელის, როდის გადაუბრუნდება გოლიათს ფეხი, მაგრამ მაიამელები მაინც ბედნიერები არიან, ნბა-ს უძლიერეს ცენტრი თავისთან რომ ეგულებათ.

გუშინწინ „კლივლენდთან“ მატჩს მაიამისთვის სარეკორდოდ ბევრი, 20 285 კაცი დაესწრო. საზოგადოდ „კლივლენდის“ მატჩები ყოველთვის და ყველგან დიდ აუდიტორიას კრეფს. ყველას უნდა ვუნდერბიჭუნა ლებრონ ჯეიმსის ნახვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხის ფორიაქის მიზეზი სხვა იყო — რა ელებრონჯეიმსებოდათ მაიამელებს, როცა შაკილ ონილი „ჰითის“ მაისურით პირველ შინაურ მატჩს მართავდა.

ყველაზე დაძაბული გამოდგა დღის მესამე შეხვედრა. „დენვერ ნაგიტსმა“ შინ მიიღო გოროზი კევინ გარნეტის „მინესოტა ტიმბერვულვზი“ და რამდენიმე თვის წინ პლეი ოფში მარცხისთვის ნაწილობივ მაინც იყარა ჯავრი. ეგაა, ამისთვის დამატებითი ხუთწუთეული დასჭირდა.

„დენვერის“ ყმაწვილმა ლიდერმა კარმელო ენტონიმ ვერაფერი მოუხერხა აბეზარ მეურვეს ტერნტონ ჰასელს და საშინლად ისროდა — თამაშში 25 ცდიდან 20 ააცილა. თანაც მასპინძლებს ორი წამყვანი მოთამაშე — ვოშონ ლენარდი და ნენე აკლდათ, მაგრამ ამათი საქმე სხვებმა გააკეთეს. ციცქნა ერლ ბოიკინსმა — შეგახსენებთ, ეს ბიჭი იატაკიდან ოდენ მეტრსა და 65 სანტიმეტრს აითვლის — ოვერტაიმის დამთავრებამდე შვიდი წამით ადრე გამარჯვების ბურთი ჩააგდო და მინესოტელი „მგლები“ შინ მშივრები გაუშვა.

თამაში ძალიან უხეში გამოდგა — მსაჯებმა ბლომად ტექნიკურები არიგეს და გუნდებს თითო მოთამაშე გაუგდეს. მინესოტელი გამთამაშებელი სემ კასელი იმისთვის დაისაჯა, რომ დენვერელ კენიონ მარტინს ბურთი ესროლა — თურმე კასელმა დაჩაგვრა მოუნდომა ჯუჯა ბოიკინსს და მარტინი თანაგუნდელის გამოექომაგა.

თემურ ქინქლაძე

Euroleague

ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. I ტური. 3-4 ნოემბერი

ევრორეალურობა

ქართველებმა ევროლიგაში სანაკრებო მეტოქეები დაზვერეს

ამ კვირაში დაიწყო ევროპის უძლიერესი საკლუბო ტურნირი ევროლიგა, რომელშიც ბებერი კონტინენტის წამყვანი საკალათბურთო ქვეყნებიდან მხოლოდ რჩეული გუნდები მონაწილეობენ. ევროლიგაში ისეთი ხალხიც თამაშობს, რომლებიც თავს არც ნბა-ში შეირცხვენდნენ, თუმც ისინი ოკეანგამოღმა რჩებიან და ევროპულ კალათბურთს ლაზათს უნარჩუნებენ.

მაშ ასე, ევრომარათონი დაიწყო და გაისამდე გასტანს, მანამდე კი გუნდები ჯერ ერთმანეთს ზვერავენ, რაკი ევროლიგას არაერთი ახალი, უფრო ზუსტად, გვარიანი ხნით შვებულებაში მყოფი წევრი ჰყავს.

ევროელიტას მობრუნებულთაგან უპირველესად მადრიდის „რეალი“ უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც უილაჯობის გამო სამი სეზონი მხოლოდ შინაურ ჩემპიონატში ბურთაობდა. „რეალი“ დაბრუნდა, თუმც დებიუტით კმაყოფილი ვერ იქნება — შინ დრამატულ ენდშპილში ხორვატიულ „ციბონასთან“ წააგო.

აი, მეორე მობრუნებულმა „სკავოლინიმ“ კი ჩინებული დებიუტი მოიწყო, შინ დაამარცხა „მარადმწვანე ევროლიგელი“ „ოლიმპია“. „რეალის“ დარად, „სკავოლინისაც“ უჭირდა და იტალიის სერია A-ში წარუმატებელი თამაშის გამო ევროლიგიდან ორი წლით მოიკვეთა. ახლა კი იტალიელები საგრძნობლად მომძლავრდნენ და ევროსეზონი ლიუბლიანელთა ძლევით დაიწყეს.

ეს მატჩი იმით უფრო იყო ჩვენთვის საინტერესო, რომ მასში ჩვენიანები — ვლადიმერ ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობდნენ, თანაც მოედანზე ქართველთა სამი სანაკრებო მეტოქე იყო. ლაპარაკია „სკავოლინის“ ორ ფინელ და „ოლიმპიას“ ერთ მაკედონიელ მოთამაშეებზე, რომელთაგან ერთ-ერთი, ჰანო მოტოლა მატჩში გამორჩეული მოთამაშე გახლდათ.

„სკავოლინის“ მოტოლამ ულიდერა — 19 ქულა და 10 მოხსნა მოიხვეჭა. თანამემამულეს მხარი ვერ აუბა ფინელმა ტეემუ რანიკომ, ვინაც 11 სექტემბერს თბილისში გვარიანად გააწვალა შემონდ უილიამსმა.

იყოჩაღა მაკედონიელმა დარიო ბოჩევსკიმაც, რომელსაც 15 სექტემბერს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არ უთამაშია, თუმც საქმე საქმეზე რომ მიდგება, ალბათ თბილისშიც ჩამოვა მომავალი წლის სექტემბერში. გუშინწინ კი ბოჩევსკი ბომბარდირი გახდა 21 ქულით და თუმცა მას არც ვლადიმერ ბოისა ჩამორჩა, „ოლიმპია“ მაინც დამარცხდა.

მარკოიშვილი კი ოდენ 3 წუთით ათამაშეს — მანომ ორივე სროლა ააცილა.

ისე, კარგია, „ოლიმპია“ რომ „სკავოლინისთან“ მოხვდა ჯგუფში, ვლადიმერ ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი კიდევ უფრო ახლოს გაიცნობენ მომავალ სანაკრებო მეტოქეებს.

ირაკლი პერტაია



ადამ ვოიჩიკის (მარცხნივ) „პროკომმა“ ბელგრადში დეიან მილოიევიჩის „პარტიზანი“ დასცა

A ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 75:76 კლიმამიო

ოლიმპიაკოსი: პერი (18), ვუკჩევიჩი (15)

კლიმამიო: სმოდიში (18), ვუიანიჩი (14)

ეფესი 81:72 ესტუდიანტესი

ეფესი: სოლომონი (24)

ესტუდიანტესი: გარსესი (19)

პარტიზანი 64:66 პროკომი

პარტიზანი: მილოევიჩი (20)

პროკომი: ვოიჩიკი (15)

რეალი 69:70 ციბონა

რეალი: ბალოკი (15)

ციბონა: ზიზიჩი (22)

B ჯგუფი

სკავოლინი 77:68 ოლიმპია

სკავოლინი: მოტოლა (19 ქულა, 10 მოხსნა)

ოლიმპია: *ბოისა* (15 ქულა, 7 მოხსნა), *მარკოიშვილი* (3 წუთი, 0 ქულა)

ბარსელონა 69:57 აეკ

ბარსელონა: ბოდიროგა (14)

აეკ: გლინიადაკისი (16)

სიენა 86:70 ვილერბანი

სიენა: ვანტერპული (18)

ვილერბანი: ბეშოქი (17 ქულა, 8 მოხსნა)

ჟალგირისი 75:102 მაკაბი

ჟალგირისი: ბერდი (17), ტიმინსკასი (17)

მაკაბი: გრინი (24), ვუიჩიჩი (21)

C ჯგუფი

უნიკახა 75:84 პანათინაიკოსი

უნიკახა: გარბახოსა (16), ბრემერი (15)

პანათინაიკოსი: შჩეპანოვიჩი (20), ლაკოვიჩი (16)

პო ორტეზი 81:87 ტაუ

პო ორტეზი: ფორესტი (16)

ტაუ: სკოლა (24 ქულა, 12 მოხსნა)

სკაილაინერზი 52:82 ულქერი

სკაილაინერზი: ელისი (22)

ულქერი: შტომბერგასი (20)

ცსკა 80:79 ბენეტონი

ცსკა: გრანგერი (19)

ბენეტონი: გორეე (20)

წყალბურთი

ერთმა ქართულმა ხუთ უკრაინულს აჯობა

ბოლო წლებში ქართული წყალბურთის სახეს 1985, შემდეგ კი 1987 წელს დაბადებული ჭაბუკთა ნაკრები ქმნიდა. ფინანსური გაჭირვების მიუხედავად, ჩვენები ევროპელ თანატოლებში გრანდთა შორის თუ არა, სადღაც შორიახლოს ტრიალებდნენ, ახლა კი პატარებმაც იჩაუქეს: კლუბმა „ლაგუნა ვერემ“ (1990-91 წლებში დაბადებულები) უკრაინის ღია ჩემპიონატი მოიგო.

ჩემპიონატი ექვსგუნდიანი იყო და გუნდებმა ერთ წრედ ითამაშეს. ქართველებმა მხოლოდ მარიუპოლელებთან წააგეს, ხოლო ხარკოვის, კიევის, ოდესისა და ლვოვის კლუბებს შანსი არ დაუტოვეს და ოქროს მედლებიც ჩამოიტანეს. ალბათ ახლა კი ნანობენ უკრაინელები, „ლაგუნა ვერე“ რომ მიიწვიეს ჩემპიონატზე. ამ გუნდსაც სოსო მაისურაძე თავკაცობს და ბარემ აქვე გეტყვით, რომ მისი გაწვრთნილი ჭაბუკთა ნაკრები (18-წლამდელები) ნოემბრის მიწურულს ესტუმრება უკრაინულ აუზს, სადაც უფროსი ასაკის კლუბებს გაეჯიბრება. დეკემბერში კი ჩვენები რუსეთის ჩემპიონატშიც ჩაერთვებიან და, იმედია, შარშანდელივით ტრიუმფატორებად დაბრუნდებიან.

ილია ნანობაშვილი

სატრასო ამბები



იაგუარ-ჯორდანი ჰაერში ჰკიდია

დუბაიმ ედი გადააგდო

ახლოვდება 15 ნოემბერი, ბოლო ვადა, როცა საფორმულო გუნდებმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას საგაისო ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადები უნდა წარუდგინონ საგარანტიო 48 მილიონ დოლარიან შესატანთან ერთად.

ჯერაც გაურკვეველია გასაყიდად გამზადებული „იაგუარის“ ბედი. „მწვანე კატების“ შეძენის სურვილი ჩინეთის მთავრობასაც ჰქონდა და სასმელების ცნობილ ავსტრიულ კომპანია „რედ ბულსაც“, თუმც ორივე გარიგება ჩაიშალა. ახლა გუნდზე ბრიტანელ ინვესტორებს დაუდგამთ თვალი და უკვე მომავალი ბოსიც შეურჩევიათ — 1992 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაიჯელ მენსელი, მაგრამ ეს ამბავიც ჯერჯერობით ჰაერშია გამოკიდებული.

თუ „იაგუარს“ ახალი მეპატრონე არ გამოუჩნდება, 2005 წელს „სამეფო რბოლების“ ქარავანში 18 მანქანა დარჩება და აუცილებელ რაოდენობამდე, ოცამდე შესავსებად წამყვან საჯინიბოებს მესამე ბოლიდის გამოყვანა მოუწევთ. ეს კი ფედერაციის პრეზიდენტ მაქს მოსლის სულაც არ ეხატება გულზე.

როგორც ყოველთვის, არ ულხინს ედი ჯორდანსაც, თუმც გაკოტრებამდე საქმე ალბათ არც ამჯერად მივა. ისე, ირლანდიელი ბოსიც კარგა ხანია, აპირებს თავისი გუნდის ნაწილობრივ გასხვისებას, ფინანსურად რომ მომაგრდნენ. ცხადია, თავად ედი მაინც დარჩება „ჯორდანის“ სათავეში. ორიოდე თვის წინ ხმა გავრცელდა, საჯინიბოს შეძენას მთელი ავლადიდებით არაბეთის გაერთიანებული საემიროების ბიზნესმენთა ჯგუფი აპირებსო, მაგრამ დუბაელი „ფულის ტომრები“ მერე უფრო დიდ მადაზე მოვიდნენ და ჯორდანთან ჩაზიარებას საკუთარი გუნდის შექმნა ამჯობინეს. ჯერ არარსებულ საჯანიბოს „დუბაი F1“ ერქმევა, ხოლო მულტიმილარდელთა მანქანებს ტრასებზე 2006 წლიდან ვიხილავთ.



ის კი არა, დუბაიში ავტოდრომის მშენებლობაც წამოიწყეს და ორსამ წელიწადში ეტყობა, საემიროების დიდი პრიზიც გათამაშდება.

რაც შეეხება ედი ჯორდანს, იგი ახლა ფორმულა 3000-ის გუნდ „არდენის“ შეფ კრისტიან ჰორნერთან „ჩალიჩობს“. ამასთან, ჩინური ვარიანტიც განიხილება.

2006 წელს ფორმულა 1-ში მეორე დებიუტანტიც იქნება — რუსული წარმოშობის კანადელ ბიზნესმენთა ფულით შექმნილი „მიდლენდ F1“. ამ გუნდს შეინახავს ინგლისში რეგისტრირებული კორპორაცია „მიდლენდ ჯგუფი“, რომლის პრეზიდენტი ლენინგრადში დაბადებული კანადის მოქალაქე, 36 წლის ალექს შნაიდერი. საჯინიბო შტაბბინას ლონდონის მახლობლად დაიდებს, ხოლო შასის ცნობილი იტალიური ფირმა „დალარა“ დაუმზადებს.

გია ახალაძე

მხეცის გაგდებული

BNP PARIBAS MASTERS
პარიზი. ჭერქვეშა ხალიჩა.
საპრიზო 2,425 მილიონი $

მესამე წრე

მარატ მირნი (ბელარუსია) — ენდი როდიკი (1, აშშ) 7:6 (7:2), 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (2, ავსტრალია) — ნიკოლას მასუ (14, ჩილე) 4:3 მასუმ შეწყვიტა; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ტიმ ჰენმანი (3, ბრიტანეთი) 7:5, 6:1; **მარატ საფინი** (6, რუსეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:2, 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ანდრეი პაველი (11, რუმინეთი) 5:7, 6:4, 6:4; **გილერმო კანიასი** (13, არგენტინა) — ტომი ჰაასი (18, გერმანია) 7:6 (7:4), 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — ვინს სპედია (აშშ) 6:2, 6:3

ზედ მეოთხედფინალების წინ პარიზიდან წყვილად აიტეს პირველ ნომრად განთესილი ენდი როდიკი და შარშანდელი ჩემპიონი ტიმ ჰენმანი. როდიკს ახმახმა ბელარუსმა მაქს მირნიმ აჯობა. ეს მათი მეოთხე შეხვედრა იყო და „მხეცად“ წოდებულმა სლავმა პირველად მოახერხა, ამქრის უმთავრესი მეისე გაეწარებინა. მირნის როდიკის დარად მძლავრი მოწოდება აქვს და ამ მატჩში მისი 13 ეისის წილ გამჭოლად 14-ჯერ მოაწოდა. რაკილა მეტოქე ვერც მოწოდებით დაჩაგრა და ვერცთუ სხვა იარაღით, როდიკი მეორე სეტში აიჭრა, მსაჯთან კინკლაობას მოჰყვა და მეტოქეს თითქმის უბრძოლველად დანებდა.

ტიმ ჰენმანმა კი მარჯვე რუს მიხაილ იუჟნისთან დათმო, ვინაც წინა კვირას სანკტ პეტერბურგში კარიერის მეორე ტიტული მოიხვეჭა და იქიდან იმხელა დავლათი გამოიყოლა, რომ ახლა აღარავის ეპუება. თუმცა, ეგეც არ ყოფილიყო, ჰენმანი თავადაც ბითურად გაირჯა — მერე ამბობდა, სათანადოდ ბასრი ვერ ვიყავი და მოძრაობითაც ზანტად ვმოძრაობდიო.

ლეიტონ ჰიუიტს კი მეოთხედფინალის წინ ძალ-ღონე დაეზოგა, რადგანაც ნიკოლას მასუს ბარძაყის ტრავმის გამო მის წინააღმდეგ მხოლოდ შვიდი გეიმის თაშაში დასცალდა. არადა, გუშლამ ჰიუიტს შემარაგებული ილაჯი ნაღდად წაადგებოდა. მას ხომ ტურნირის ორგზის ჩემპიონთან, ოყრაყ რუს მარატ საფინთან უნდა ეჭახიბუხა.

ADVANTA CHAMPIONSHIPS
ფილადელფია. მაგარსაფარი.
საპრიზო 585 ათასი $

მეორე წრე

ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:2; **ანასტასია მისკინა** (2, რუსეთი) — როსანა ნეფა-დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:4, 7:6 (7:0); **ვინუს უილიამსი** (5, აშშ) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:4, 2:6, 7:6 (7:4); **ვერა ზვონარიოვა** (6, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 2:6, 6:3, 6:4; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:4, 6:3; **ალიშა მოლიკი** (8, ავსტრალია) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 7:5, 6:3

ფილადელფიაში შეკრებილი გოგონებიდან სამნი — ვინუს უილიამსი, მეოთხე ნომრად განთესილი ჯენიფერ კაპრიატი და ვერა ზვონარიოვა იქითა კვირაში გასამართ დაბლტიეის სეზონდამაგვირგვინებელ რვაქალა ჩემპიონატზე მოსახვედრადაც იბრძვიან. ამ რვიდან ექვსი ადგილის მფლობელი უკვე გარკვეულია — ლოს ანჯელესურ „სტეიპლზ სენთერში“ 10-დან 15 ნოემბრის ჩათვლით ჩოგნებს უსათუოდ გააქნევენ ლინდსი დევენპორტი, ამელი მორესმო, ანასტასია მისკინა, სვეტლანა კუზნეცოვა, ელენა დემენტიევა და მარია შარაპოვა. ამგვარად ზემოთ ჩამოთვლილი სამი ქალმეჩოგნე და ასევე სერენა უილიამსი (რომელიც ფილადელფიაში არ ჩასულა, მაგრამ ქულები კონკურენტებზე მეტი აქვს), ორი ადგილისთვისღა იბრძვიან.

საიმისოდ, რათა რვაქალაში მოხვდეს, ვერა ზვონარიოვას აუცილებლად სჭირდება ტურნირის მოგება, ვინუსსა და კაპრიატის კი ალბათ ფინალში გასვლაც უნდა ეყოთ. რაც შეეხება სერენას, იგი დას 260, ხოლო ჯენიფერარის 300 ქულით უსწრებს და იმედოვნებს, რომ ესეც ეყოფა. ვნახოთ, ძალიან ბევრ კითხვას პასუხი უკვე მეოთხედფინალში გაეცემა, სადაც ვინუსი შარშანდელ ჩემპიონ ამელი მორესმოს შეხვდება, ზვონარიოვა კი — კაპრიატის.

ლევან ძელაურაძე



REUTERS

ენდი როდიკი: ცისთან წავაგე!

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XIII ტური

ბოლმი 1:3 ბელინცონა
ვინტერთური 2:0 ვილი

გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

აინტრახტი 2:0 აუე
ბურგჰაუზენი 0:0 ტრირი
კარლსრუე 1:0 უნტერჰახინგი

სამხრეთ რეგიონალლიგა XIV ტური

ბაიერნი (მ) 0:0 მაინცი (მ)
ზიგენი 0:1 ჰოფენჰაიმი

ავსტრია

I დივიზიონი. XIV ტური

ალტახი 3:3 ლეობენი
გრატკორნი 1:2 ვიორგლი
კაპფენბერგი 5:1 კერნტენი
ლინცერი 0:1 რიდი
უნტერზიბენბრიუნი 1:3 აუსტრია (ლ)

პორტუგალია

სუპერლიგა. IX ტური

ბეირა მარი 3:3 ბელენენსეში

ჰოლანდია

I დივიზიონი. XI ტური

როზენდალი 3:0 გრააფსხაპი

II დივიზიონი. XII ტური

კამბური 2:1 აპელდორნი
ეინდჰოვენი 1:7 სპარტა
ემენი 1:3 ჰელმონდი
ჰაარლემი 0:4 იგლსი
მაასტრიხტი 0:0 ტელსტარი
ოსი 3:3 სიტარდი
ვოლენდამი 0:0 ჰერაკლესი
ვენლო 0:1 დორდრეხტი
ზვოლე 0:2 ვეენდამი

თურქეთი

სუპერლიგა. XIII ტური

დიარბაქირი 2:0 გალათასარაი

პოლონეთი

I ლიგა. XII ტური

ლეგია 4:1 პოლონია

ინგლისი

ჩემპიონატი. XVIII ტური

მილუოლი 2:0 სანდერლენდი

კონფერენსლიგა. XVII ტური

ნორსვიჩი 3:1 ძონვი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XV ტური

ნიორი 0:2 კლერმონი
ტრუა 2:1 ლე ავრი
შატორუ 0:0 სედანი
დიჟონი 2:1 გრენობლი
გენგამი 2:0 კრეტეი
ლავალი 1:0 ამიენი
ლორიანი 1:2 ლე მანი
მონპელიე 1:0 ბრესტი
ნანსი 3:1 რეიმსი

ბელგია

იუპილერლიგა. XII ტური

ბრიუგე 2:0 ვესტერლო

იტალია

სერია B. XII ტური

მოდენა 1:0 სალერნიტანა

სერია C1/A. X ტური

ფროზინონე 1:0 ფ. ანდრია

ირლანდია

პრემიერლიგა. XXXIV ტური

უოტერფორდი 0:2 სენტ პატრიკსი
კორკ სიტი 1:1 დერი სიტი
შემროკი 0:1 ბოჰემიანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

WORLD CUP
GRECO-ROMAN WRESTLING
TBILISI 6-7 NOVEMBER 2004

მსოფლიოს თასი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. თბილისი. სპორტის სასახლე. 6-7 ნოემბერი

კლასიკა!

ჭიდაობა, ცეკვა, სიმღერა



დღეს-ხვალ თბილისში დიდი სპორტული სანახაობა გაჩაღდება. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები სპორტის სასახლეში მსოფლიოს თასს გაითამაშებენ. ამის გარდა, ამ თვალსაჩინო მოვლენის ჩარჩოში ქართული ჭიდაობაც ჩაისვა. წლის აბსოლუტური ფალავნობისთვის ხვალ, ტრადიციულ ზურნა-დოლ-გარმონის ფონზე ერთმანეთს საქართველოს უძლიერესი ფალავნები დაეჭიდებიან. ნუ დაიზარებთ მისვლას, დღიური ბილეთი ოდენ ლარი დაგიჯდებათ. ჭიდაობით არ სრულდება ლარიანი სიამოვნება. დღეს ოთხ საათზე ორგანიზატორები ისეთ საზეიმო გახსნას გვპირდებიან, სხვა დროს ბევრად ძვირი რომ ღირს

მსოფლიოს გუნდურმა ჩემპიონმა ჩვენმა ნაკრებმა შარშან თასიც ალალად დაიმსახურა, მაგრამ ყაზახეთის დედაქალაქ ალმათიში მესამე ადგილს ვერ ასცდა. ჯგუფიდან გამსვლელი გადამწყვეტი შეხვედრა ბეგი დარჩიას შეგირდებს რუსეთის ნაკრებმა და მსაჯებმა ერთობლივი ძალისხმევით 4:3 მოუგეს.

წესით და რიგით დიდი მეზობლებისთვის რევანში ახლა უნდა აგვეღო, მაგრამ რუსებმა თბილისში ჩამოსვლას თავადვე აარიდეს თავი და მიზეზად უფულობა მოიტანეს. საჭიდაო წრეებში ნამდვილ მიზეზად შიში სახელდება, რაც სიმართლესთან გაცილებით ახლოს უნდა იყოს.

რუსების გარდა ჩვენს მსოფლიოს თასს წინასწარ დაგეგმილი კიდევ ერთი სტუმარი, ეგვიპტე გამოაკლდა. აფრიკის ჩემპიონებმა უარი ზედ ტურნირის წინ შემოთვალეს. ორი გუნდი მხოლოდ ერთმა, საფრანგეთმა შეცვალა და ექვსგუნდა მსოფლიოს თასი ხუთგუნდად გადაკეთდა.

საფრანგეთის გარდა ულამაზესი თასის საქართველოდან წაღებას ევროპის ჩემპიონი ბელარუსი, პანამერიკული თამაშების მომგები ამერიკის შეერთებული შტატები და აზიაში უძლიერესი ირანი ეშურებიან. ამათში უძლიერესი ირანი და ბელარუსია და ალბათ ამ ორთან ბრძოლაში გადაწყდება, დავიტოვებთ თუ ვერა თასსო, თქვა ამსწინდელ პრესკონფერენციაზე დარჩიამ. ყველაზე სუსტებად კი ფრანგები მიიჩნია, თუმც იქვე დასძინა, ეს არ ნიშნავს, თითქოს ხელოვნამოსაკრავნი იყვნენ, მათთანაც სიფრთხილე გვმართებსო.

გუშინ, საღამოს ექვსი საათისთვის ხუთივე ნაკრები დიღმის საჭიდაო კომპლექსში შეიყარა. ჯერ სამედიცინო შემოწმება გაიარეს, შემდეგ სასწორზე შედგნენ, ბოლოს კი კენჭიც ყარეს. პირველი ტური თერთმეტ საათზე დაიწყება და დარჩიას შვიდეული საფრანგეთს დაუპირისპირდება. მანამდე კი ირანელები დაეჭიდებიან ბელარუსებს.

ოთხ საათამდე, ანუ გახსნის საზეიმო ცერემონიამდე საქართველო ერთხელაც გავა ხალიჩაზე. დაახლოებით ორის ნახევრისთვის შეჯიბრის ცენტრალურ შეხვედრას ჩააჭარებს ირანთან. გახსნის შემდგომ ჩასატარებელი ორი ტურიდან კი ერთში დაისვენებს, ხოლო მეორეში ბელარუსს შეეტოქება.

ორიოდ სიტყვით გახსნაზეც ვთქვათ. ორმოცწუთიანი სანახაობა მერაბ სეფაშვილის, ნანი ბრეგვაძის, ანსამბლ „ქართული ხმების“, „მართვესა“ და „ხუხიშვილების“ შემოქმედებით იქნება გაჯერებული.

ხვალინდელი დღე კი სპორტის სასახლეში ქართული ჭიდაობით დაიწყება. თერთმეტიდან სამ საათამდე ტრადიციულ ქართულს, ხალხური საკრავების ფონზე ჩვენი საუკეთესო ფალავნები იჭიდავებენ. თუ შემადგენლობას გადავხედავთ და სპეციალისტთა სიტყვებსაც ვენდობით, წლევანდელი ფალავნობა საცქერად განსაკუთრებით ლამაზი უნდა გამოვიდეს.

ფალავნობაში სამი მანქანის მომგები, სულ კი ექვსგზის ფალავანი ალექსი დავითაშვილი რამდენიმე კვირაა, ამ შეჯიბრისთვის საოცარი შემართებით ემზადება და გაშვიდებასაც აპირებს, თუმც კონკურენტებიც ისეთები ჰყავს, წინასწარ ვერაფერს იტყვი. სამბისტი ზვიად ჩინჩალაძე, ძიუდოისტი გიორგი ყიზილაშვილი და რაც მთავარია, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური. ფალავნისთვის პრიზად 3 ათასი დოლარია დაწესებული. მეორე ადგილოსანი 2 ათასს მიიღებს, ხოლო მესამე — ათასს.

ისევ ბერძნულ-რომაულზე: გუნდური ჩემპიონის გარდა ტურნირზე პირადი ჩემპიონიც გამოვლინდება. მცირე თასი იმ მოჭიდავეს გადაეცემა, რომელიც ოთხივე ბრძოლას მოიგებს.

მსოფლიოს თასს ქართველ მსაჯებთან ერთად ფილა-ს გამოცდილი არბიტრები მოემსახურებიან. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შეფები თბილისში პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტის მეთაურობით გუშინ ჩამოფრინდნენ.

კენჭისყრის შემდეგ, სასტუმრო „მარიოტში“ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ყველა ნაკრების შეფი გამოცხადდა და მარტინეტისთან თითქმის ერთი საათი ისაუბრა. ყველაზე მეტი ითქვა მომავალი სეზონიდან დასანერგ ახალ წესებზე და პრეზიდენტის გარდა, მგონი, ყველამ უარყოფითი განცხადება გააკეთა. ამერიკელებმა ისიც კი თქვეს, ახალი წესები ერთერთ შიდა პირველობაზე გამოვცადეთ და საშინლად არ გააჭრთლაო. პრესკონფერენცია ამ საკითხს არ ეხებოდა და შესაბამისად, არც დასკვნამდე მისულა საქმე. მარტინეტიმ თბილისურ მსოფლიოს თასთან დაკავშირებით ჭაკეთა საკმაოდ ვრცელი განცხადება. საორგანიზაციო სამუშაოები მოიწონა და დასძინა, იმედია, ორი დღის მერეც ასეთივე კმაყოფილი ვიქნებიო. ბოლოს ფილა-ს პრეზიდენტს საქართველოში სამომავლოდ უფრო დიდი ტურნირის ჩატარების პერსპექტივაზეც ჰკითხეს. მანაც დიპლომატიურად მოჭრა — ეს მსოფლიოს თასი ხეირიანად ჩაამთავრეთ და 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მერე ვილაპარაკოთო.

ოთარ მაღლაკელიძე

გოჩა ძასოხოვი და რაფაელ მარტინეტი

ოთარ მაღლაკელიძის ფოტო

საქართველოს ნაკრები

55 კგ
ირაკლი ჭოჭუა, პაატა ბიწაძე

60 კგ
ლაშა ლომაძე, დავით ბედინაძე

66 კგ
ომარ ბაკურიძე, აკაკი ჩაჩუა

74კგ
ბადრი ხასაია, გენადი გოგიშვილი, რამინ ფევაძე

84 კგ
მუხრან ვახტანგაძე, ლადო გეგეშიძე

96 კგ
რამაზ ნოზაძე, გივი მორჩილაძე

120 კგ
მირიან გიორგაძე, გიორგი ჯობავა

6 ნოემბერი
11.00 – 14.00 წინასწარი შეხვედრები
16.00 – 16.30 შეჯიბრების საზეიმო გახსნა
16.30 – 20.00 წინასწარი შეხვედრები

7 ნოემბერი
11.00 – 15.00 საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში
16.00 – 20.00 მსოფლიოს თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge